# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 11 ივლისი, 2008 წელი.

№ 128 (5986)


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


# მოვლენები და ადამიანები



- ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ვიზიტი
- ხელისუფლებას კი არა, საქართველოს უჭერს მხარს
- ქალადობა დაუშვებელი და მიუღებელია (2)
- კავშირი აფხაზეთსა და სოჭის ოლიმპიადას შორის

## დენი იმდენი გვაქვს, ორ თურქეთს ეყოფა, ფასი კი... (5)

ადრე „მონანეკარე" დენი გვბანჯავდა, ახლა – „გალდოთხეთქილი" ტარიფი

## ვითომ გაქრებოდა მონობა ევროპაში, ქრისტიანობა კათოლიკე ინკვიზიტორების ამარა რომ დარჩენილიყო? (3)

## ბელორუსიამ ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრე გამოააშკარავა (10)

Коммерсантъ

## ხელისუფლება პოლიტიკური სივრცის მიტაცებას ცდილობს (4)

# მოვლენები და ადამიანები

## რაისი ტეფტსა და სანაკოევს შეხვდა

**თბილისში სამუშაო ვიზიტით მყოფი აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი აშშ-ს ელჩს საქართველოში ჯონ ტეფტსა და საელჩოს თანამშრომლებს შეხვდა.**

როგორც შეხვედრის შემდეგ ტეფტმა განაცხადა, ვიზიტი აშშ-ს მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის დადასტურებაა.

ეს პირველ რიგში ეხება კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერასა და კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილის გეგმას, — დასძინა ამერიკის ელჩმა.

ამასთან, კონდოლიზა რაისი შეხვდა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელს დიმიტრი სანაკოევსაც.

კონდოლიზა რაისმა საქართველოში ვიზიტი უკვე დაასრულა. ვიზიტის ბოლოს იგი ავლაბრის რეზიდენციაში საქართველოს პრეზიდენტს, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეხვდა, რის შემდეგაც სააკაშვილისა და რაისის ერთობლივი ბრიფინგი გაიმართა.



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი თბილისიდან სოფიაში გაემგზავრა.

## ძალადობა დაუშვებელი და მიუღებელია

**ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგი პირდაპირ უნდა გაიმართოს, უნდა შეწყდეს ძალადობა ყველა მხრიდან. ასეთი განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.**

როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, ძალადობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონფლიქტის რეგიონში, არის დაუშვებელი და მიუღებელი.

მისივე თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებას გამოხატავს რუსეთის ზოგიერთ მოქმედებასთან დაკავშირებით, რაც ხელს არ უწყობს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

როგორც რაისმა აღნიშნა, მას არ სურს საუბარი რუსეთის მოტივაციაზე, მაგრამ საუბრობს რუსეთის მოქმედების შედეგებზე.

რუსეთი არის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრი და სათანადოდ უნდა იქცეოდეს, — განაცხადა რაისმა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფლიქტის მოგვარების გზები უნდა იყოს მშვიდობიანი, ქართველებსა და აფხაზებს შორის საუბარი პირდაპირ უნდა მიმდინარეობდეს. ასევე, აფხაზებმა უნდა იცოდნენ, თუ რა მომავალი ელოდებათ მათ.

კონდოლიზა რაისის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები გააგრძელებს აქტიურ მუშაობას, რათა სამშვიდობო პროცესის უკან დაბრუნება მოხერხდეს. მისივე თქმით, ის აპირებს ამ საკითხის განხილვას უმაღლეს დონეზე.

## საჭიროა ძლიერი პარლამენტისა და ძლიერი სასამართლოს ჩამოყალიბება

**საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება მნიშვნელოვანია,— ასეთი განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა თბილისში გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.**

როგორც რაისმა აღნიშნა, იგი შეხვდა ოპოზიციის წარმომადგენლებს. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის შეფასებით, აუცილებელია საქართველოში ჩამოყალიბდეს ძლიერი პარლამენტი და ძლიერი სასამართლო.

კონდოლიზა რაისმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

როგორც პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველო დღეს არის წარმატებული ქვეყანა, რომელიც რეგიონში ენერგორესურსების მიმწოდებელია; საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ საერთო ინტერესები, როგორც ერთიანი უსაფრთხოების, ასევე - ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში ნომერ პირველი ინვესტორია და კონდილიზი რაისის წინა ვიზიტის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური წინსვლა სამჯერ გაიზარდა.

## კავშირი აფხაზეთსა და სოჭის ოლიმპიადას შორის

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან ერთად გამართულ ბრიფინგზე სოჭის ოლიმპიადასა და აფხაზეთის კონფლიქტის კავშირზე ისაუბრა.**

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, საქართველო ცდილობს მიაწვდინოს ხმა ყველას, თუ რა სიტუაციაა კონფლიქტის ზონაში, რომ გაგრა არის 5 კილომეტრში ოლიმპიური ცენტრიდან და უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხალხის უსაფრთხო გადაადგილება.

საქართველო აყენებს ინიციატივას რუსეთის წინაშე, რომ შეიქმნას ერთობლივი კომიტეტი, რომელიც უსაფრთხო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს. კერძოდ, ეს შეეხება ხალხის უსაფრთხო გადაადგილებას, საზღვრის დაცვას და ა.შ. ეს წინადადება კიდევ ერთხელ იქნება ოფიციალურად შეთავაზებული რუსეთისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი გართულება,— განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

## მისი ვიზიტი ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია

**„დემოკრატიული განვითარების ფონდის“ პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ კონდოლიზა რაისის ვიზიტს საქართველოში ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი უწოდა.**

ნინო ბურჯანაძემ მადლობა გადაუხადა ამერიკელ ხალხს და კონდოლიზა რაისს იმ მხარდაჭერისთვის, რომელიც საქართველოს მათი მხრიდან აქვს.

ბურჯანაძის თქმით, კონდოლიზა რაისთან შეხვედრა მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო.

„მოხარული ვარ, რადგან მქონდა პირისპირ შეხვედრა აშშ სახელმწიფო მდივანთან, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატუსი არ მაქვს. ვისაუბრეთ ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე, იმ მნიშვნელოვან მხარდაჭერაზე, რაც საქართველოს კონფლიქტების დარეგულირებისთვის სჭირდება და იმ კონკრეტულ მიმართულებებზე, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. ვისაუბრე ფონდზე, რომელიც მე ჩამოვაყალიბე და ჩემს მთავარ ამოცანაზე, ვითანამშრომლო, როგორც არასამთავრობო, ისე ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, რათა ქვეყანაში გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები – დამოუკიდებელი სასამართლო, პრესის სრულყოფილი თავისუფლება. უნდა იყოს სწორი დემოკრატიული განვითარების მიმართულება, რაც შეიძლება შემცირებულ ვადაში, – განაცხადა ბურჯანაძემ.

## ხელისუფლებას კი არა, საქართველოს უჭერს მხარს

**აშშ სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ოპოზიციური პარტიების წარმომდგენლებს და „დემოკრატიული განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა.**

როგორც შეხვედრის შემდეგ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, ოპოზიციამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც დღეს ქვეყანაში არსებობს.

ეს არის ის პრობლემები, რომლებსაც ყოველდღიურად ვაწყდებით – უსამართლობა, არადემოკრატიული მმართველობა, ერთპარტიული გადაწყვეტილებები, პარლამენტის ერთპარტიული მოწყობა, უსამართლო არჩევნები და ის, რასაც ჰქვია შიში, ტერორი, რომელიც ხორციელდება ამ ქვეყანაში, – აღნიშნა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, საუბარი შეეხო იმასაც, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აშშ-ის როლი დემოკრატიულ განვითარებაში, რომ შევაჩეროთ ძალმომრეობა, რომელსაც ადგილი აქვს ხელისუფლების მხრიდან და, ამავე დროს, წავიწიოთ წინ, ნატოსკენ, – განაცხადა დავით გამყრელიძემ და დასძინა, რომ თავიდან უნდა იყოს აცილებული პროვოკაციები, რომლებიც აფხაზეთსა და ცხინვალში ახლა იგეგმება.

გამყრელიძის თქმით, იყო საუბარი იმასთან დაკავშირებითაც, როგორ მოახერხოს ოპოზიციამ საზოგადოებისთვის ახსნა, თუ რით სჯობია ხელისუფლებას.

ამისთვის უნდა არსებობდეს ნორმალური მედიაგარემო. ჩვენ სერიოზული მხარდამჭერები გვყავს ამერიკელი მეგობრების სახით. კონდოლიზა რაისი მზად არის, წინ აღუდგეს ყველა იმ ძალმომრეობას, თუნდაც იმ კანონპროექტს, რომელსაც ახლა პარტიების დაფინანსების შესახებ იღებენ, – განაცხადა დავით გამყრელიძემ და აღნიშნა, რომ რაისს ესაუბრნენ საზოგადოებაში არსებული განწყობის შესახებაც.

ის უსამართლობა, რომელიც ქვეყანაში ხდება საზოგადოებაში აღიქმება, როგორც ამერიკის მიერ მხარდაჭერილი ნაბიჯი. რაისმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ იგი მხარს უჭერს არა კონკრეტულ პიროვნებებს ხელისუფლებიდან, არამედ – საქართველოს, – განაცხადა კონდოლიზა რაისთან ოპოზიციის შეხვედრის შემდეგ დავით გამყრელიძემ.

## დეტალურ ინფორმაციებს სექტემბერში გააცნობენ

**ქართული ოპოზიციური პარტიების ლიდერები სექტემბერში კონდოლიზა რაისს ვაშინგტონში შეხვდებიან.**

ამის შესახებ სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან ქართული ოპოზიციური სპექტრის შეხვედრის შემდეგ, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ვაშინგტონში მოსალოდნელ შეხვედრაზე ოპოზიციური პარტიის ლიდერები სახელმწიფო მდივანს უფრო დეტალურ ინფორმაციას გადასცემენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

შალვა ნათელაშვილის თქმით, ამ შეხვედრის შესახებ იდეა ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა წამოაყენეს, რაზეც კონდოლიზა რაისი დათანხმდა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**მზერა უცხოეთიდან**

# ვითომ გაქრებოდა მონობა ევროპაში, ქრისტიანობა კათოლიკე ინკვიზიტორების ამარა რომ დარჩენილიყო?



## ინტელიგენცია და თანასწორობის პრობლემა

**პოსტსაბჭოთა ქართული პოლიტიკური ძალების საერთო ნიშანს (თუ დანაშაულსძ წარმოადგენს ქართველი ინტელიგენციის არა უბრალოდ იგნორირება, არამედ მის წინააღმდეგ ბრძოლა. იდეურად გაკოტრებულმა და კორუმპირებულმა პარტიულმა ნომენკლატურამ, რომელმაც “თვითლიკვიდაცია“ გამოაცხადა, იმის ნაცვლად, რომ ძალაუფლება დაეთმო ხალხის ინტელექტუალური ნაწილისათვის, კავშირი შეკრა კრიმინალურ ელემენტებთან, ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“ და მკვლელებთან, რათა მათი დახმარებით გზიდან ჩამოეცილებინა იგი. ამას ემსახურებოდა ე.წ. „საძმოების“, „გვარდიის“, „მხედრიონის“, და სხვა შეიარაღებული ბანდების განუკითხავი თარეში და უმართავი ქაოსი. ხელისუფლება ხელისუფლებას ცვლის „პუტჩებითა“ და „რევოლუციებით“, მაგრამ არც ინტელიგენციისადმი დამოკიდებულება იცვლება და არც ხალხის მდგომარეობა.**

დამოუკიდებლობის 18 წლის მანძილზე, ქართველ ინტელიგენციას არ მიეცა და არ ეძლევა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის საშუალება. ვფიქრობთ, ესეც არის ქართველი ხალხის უცვლელი უბედურებისა და ქართული სახელმწიფოს ვერშედგომის ერთ-ერთი მიზეზი. სახელმწიფოს შედგომა მის გადემოკრატიულებას და სამართლის ინსტიტუტად ქცევას ნიშნავს, და ინტელიგენცია არის დემოკრატიისა და სამართლის დამყარების საწინდარი. პოლიტიკურ პარტიებს მოაზროვნე ადამიანები ქმნიან, ვისაც სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი მოწყობის წესები მოეკითხებათ, აქ კი ყველა უმწიფარი და უმუშევარი „პარტიას“ „პარტიაზე“ ქმნის, უპროგრამოდ და უწესოდ, სახელისუფლებო სტრუქტურებში მაღალანაზღაურებადი სამუშაოს საძებნელად. ხელისუფლებაში კი არა, ოპოზიციაშიც არ ჩანან ცნობილ ქართველ ინტელექტუალთა – ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, ეკონომისტების, პოლიტოლოგების სახეები... როგორც სწორად შენიშნავდა ამას წინათ ქალთა პარტიის ლიდერი ქ-ნი გუგული მაღრაძე, „სამწუხაროდ, თანამშრომლობის ფორმებიც საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელთაც შეუძლიათ ამ დროს უფრო ქმედითი ინტელექტუალური დახმარება, სათანადოდ შეფასებული, გამოყენებული და ორგანიზებული არაა“.

პოსტსაბჭოთა ანტიინტელიგენტური მარათონი პირველად ზვიად გამსახურდიამ გახსნა: იმის ნაცვლად, რომ გვერდით დაეყენებინა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები და ყურად ელო მათი რჩევები, მან, „ფსევდოინტელიგენციისა“ და „კრემლის აგენტების“ თიკუნით, ბრძოლა გამოუცხადა მათ, რამაც განაპირობა არა მარტო მისივე ხელისუფლების კრახი, არამედ ქვეყნის დაშლა და მისი ისეთ ჩიხში შეყვანა, საიდანაც დღემდე ვერ გამოსულა.

ედუარდ შევარდნაძემ სწორედ „ინტელიგენციის დაცვის“ საბაბით გამოაყვანინა კიტოვანს ტანკები თბილისის ქუჩებში და გაამართლა ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა. მაგრამ ქართველ ინტელიგენციას ისე ცუდად არასოდეს წასვლია საქმე, როგორც მისი რეჟიმის დროს. მხცოვანი პროფესორები და აკადემიკოსები იძულებული იყვნენ, ერთი დღის სამყოფი პურის ფულის საშოვრად თავიანთი საწუკვარი სამაგიდო წიგნები გაეტანათ გასაყიდად და მათხოვრებივით გაეშვირათ ხელი ქუჩაში.

სააკაშვილმა წარმატებით დაასრულა გამსახურდიას მიერ დაწყებული საქმე: საბოლოოდ „ჩარეცხა“ ინტელიგენცია და იავარქნა ყველა კერა, სადაც ქართული სული და ინტელექტი ჭაჭანებდა: უნივერსიტეტი, აკადემია, მწერალთა კავშირი, გამომცემლობა „სამშობლო“, ქუჩაში გამოყარა ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, სპეცრაზმები შეუსია ტელევიზიას და ტელეინფორმაციული ვაკუუმი დაამყარა ქვეყანაში.

ამ თვალსაზრისით, უსამართლობა იქნება, არ დავეთანხმოთ გამიშისტებულ ზვიადისტს ლია ანდღულაძეს, რომლის აზრითაც, **„ზვიად გამსახურდიას სული მიშა სააკაშვილის სხეულში ჩასახლდა“**. ერთ რამეში კი აქეთაც უნდა დაგვეთანხმოს ქ-ნი ლია: რომ ბ-ნი ზვიადი მიშაზე „მაგარი“ იყო. მან სულ რაღაც ათიოდე თვეში მოასწრო ის, რისთვისაც სააკაშვილს მთელი ოთხი წელი დასჭირდა. ათი თვის თავზე ბ-ნ მიხეილს ინტელიგენციის ჩასარეცხად სად ეცალა, იგი, ჯერ ისევ „მიშა“, ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა და სარეისო თვითმფრინავებით დაფრინავდა. თუმცა მაინც არ შეიძლება, ისინი ერთმანეთში ავურიოთ: პირველი ინტელიგენციას ებრძოდა „ერისა“ და „ეროვნულის“ ძახილით, მეორე – „ნაციონალურისა“ (ტრანსნაციონალურის!ძ და „ნატოს“ ძახილით.

რატომ ებრძვიან ინტელიგენციას და რა საფრთხეს ხედავენ მასში?

ინტელიგენციას ადამიანთა თანასწორობის იდეასთან მივყავართ, თანასწორობა კი არ ეთანხმება ძლიერთა ამა ქვეყნისათა ფეოდალურ-მონათმფლობელურ ამბიციებს.

არსენ გულიგა თავის წიგნში „კანტი“ ასე გვიხსნის ინტელიგენციისა და მისი განმანათლებლობის არსს: **„განმანათლებლობა აუცილებელი საფეხურია ყველა იმ ქვეყნის კულტურულ განვითარებაში, რომელიც ეთხოვება ცხოვრების ფეოდალურ წესს. განმანათლებლობა თავისი საფუძვლებით დემოკრატიულია; ეს არის კულტურა ხალხისათვის. მთავარ ამოცანად იგი ისახავს აღზრდა-განათლებას, იმას, რომ ყველა და თითოეული ცოდნას ეზიაროს. თავისუფალი პიროვნების აღორძინებისეული იდეალი საყოველთაო ხდება. იზრდება პასუხისმგებლობაც: განმანათლებლობის ეპოქის ადამიანი მარტო საკუთარ თავზე კი არ ფიქრობს, არამედ სხვებზეც, იმაზედაც, თუ რა ადგილი უჭირავს საზოგადოებაში. სოციალურობის იდეა მკვიდრ ნიადაგზე დგება, ყურადღების ცენტრშია საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილების პრობლემა. გონებას აღელვებს თანასწორობის იდეა არა მარტო ღმერთის წინაშე (რაც ქრისტიანობას მოჰყვაძ, არამედ კანონთა წინაშეც, სხვა ადამიანთა წინაშეც. ეს თანასწორობა ფორმალურია, მაგრამ სხვა თანასწორობა ბურჟუაზიულ მართლწესრიგს არც ესაჭიროება. განმანათლებლობა მაგრად ებღაუჭება ფორმალური სამართლის იდეას, ვინაიდან მხოლოდ მასში ხედავს ჰუმანიზმის გარანტიას“.**

აი, თურმე რატომ წუხდა ჩვენი „ბედნიერი“ ლუარსაბიც „სკოლებისა“ და „წიგნის“ გაგონებაზე:

**„– ეგ ეხლანდელი ჭირიაო, – იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალებაო... რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი არ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა,- ეგ ხომ ქალის საქმეა“.**

თეიმურაზ ხევისთავი უფრო კონკრეტული და კატეგორიულია: **„აღარ მიხსენო ინტელიგენცია, რაცა გვჭირს, სულ მაგისაგან გვჭირს“.**

ლუარსაბი და თეიმურაზი მხატვრული პერსრნაჟები არიან, მაგრამ, საინტერესოა, რა რჯიდა „ერისა და კაცობრიობის“ მწიგნობარ ავტორს ტალახში ეთრია ქართველი ინტელიგენცია: **“ქართველი ინტელიგენტი ქართულ წრეში, სადაც მარტო ქართულად ლაპარაკობენ, საცოდავია, რადგანაც ქართული ნაკლებად იცის, არ იცის რიგიანად აგრეთვე თავისი ლიტერატურა, ქართული ხალხური შემოქმედება და სხვა, – მაგრამ იგი აგრეთვე უცხოა ამავე მიზეზით რუსთა და ევროპიელთა შორისაც. იგი მართლაც „ორთა შუა რამ გამომწყვდეულია“.**

ამას წინათ ისტორიკოსი გურამ ყორანაშვილი სამართლიანად უსაყვედურებდა მწერალ როსტომ ჩხეიძეს ილია ჭავჭავაძის უზოდიშო მოხსენიებისათვის.

როცა უსწავლელ ლუარსაბთან გვაქვს საქმე, იმედი გადაწურული არ არის: ვამბობთ, ისწავლის და ეშველებაო. მაგრამ როდესაც ამას ნასწავლი ლუარსაბი აკეთებს, საფუძველი აღარ არსებობს ოპტიმიზმისათვის. ამიტომ ამბობდა ქრისტე: „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნოო...“

ინტელიგენციის წარმომადგენლებს საბჭოთა პერიოდშიც დევნიდნენ, მაგრამ „მახვილი“ მიმართული იყო არა ინტელიგენციის როგორც ასეთის, არამედ ფეოდალურ-ელიტური ცნობიერების წინააღმდეგ, რამდენადაც “ინტელიგენციად“ იწოდებოდა ყველა, ვისაც ფეოდალურ-ელიტური ცნობიერება ჰქონდა, რაც, სინამდვილეში, გამორიცხავს ინტელიგენტობას. ამ გაგებით, ინტელიგენციისადმი დღევანდელი შეტევა განსხვავდება საბჭოური შეტევისაგან და წმინდა ანტიინტელიგენტიზმია.

„საქართველოს რესპუბლიკამ“ 27 ივნისის ნომერში **იური სტოლიაროვის** საგულისხმო სტატიის თარგმანი შესთავაზა მკითხველს. ავტორი, ინტელიგენტის არსის გასაგებად, არისტოკრატს უპირისპირებს მას: **„უცნაურად გამოიყურება დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის წინადადება – შევქმნათ ეროვნული არისტოკრატიაო. რომ თქმულიყო, ინტელიგენციაო – ამის გაგება კიდევ შეიძლებოდა. იმიტომ, რომ ინტელიგენტი, განსაზღვრის შესაბამისად, რომელიც ოდესღაც პროფესორმა მ.კაგანმა შემოგვთავაზა, „ესაა განათლებული ადამიანი დიდი სინდისით“. ესე იგი, ესაა ადამიანი, რომელიც ცუდადაა, როცა ცუდად არიან სხვები. ამით ის პრინციპულად განსხვავდება არისტოკრატისაგან. არისტოკრატს მშვიდად სძინავს, როცა ირგვლივ მათხოვრები და მშივრები არიან. დიდი ამბავი – ეს ხომ „უბრალო ხალხია“. ინტელიგენტი კი წამებაშია იმის გამო, რომ ქვეყანა უსამართლოდაა მოწყობილი. არისტოკრატი ემსახურება ხელისუფლებას, რომელიც, თავის მხრივ, მხარს უჭერს მის პრივილეგირებულ სტატუსს. ინტელიგენტი არ ეძებს პრივილეგიებს და შეუძლია უანგაროდ ემსახუროს იდეალებს. არისტოკრატს თავი ნიმუშად მიაჩნია - იმად, ვისაც უნდა მიბაძონ ქვედა ფენებმა. ინტელიგენტი ცდილობს გახდეს უკეთესი თავად. და კიდევ ერთი. არისტოკრატი მხოლოდ მაშინ გამოიყურება არისტოკრატად, როცა ირგვლივ უბრალო ხალხია, მას სულაც არ უნდა, რომ არისტოკრატი გახდეს ყველა. ინტელიგენტი, პირიქით, ცდილობს, რომ ინტელიგენცია იყოს უმრავლესობა. მათ შორის სხვაობა – ესაა სხვაობა ღირსებასა და სინდისს შორის. ღირსება იცავს თავისას, სინდისი – სხვისას... არისტოკრატობა მხოლოდ მედუქნეებს უნდათ“.**

იხ. 4 გვ.

**ინფორმაცია**

## საქართველოს საპატრიარქო რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის წერილს გამოეხმაურა

**განმარტებები ალექსი II-ის წერილზე ქართველმა სასულიერო პირებმა გააკეთეს. საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელთა განცხადებით, რუსეთის პატრიარქის წერილში საქართველოს მიმართ კეთილგანწყობა იგრძნობა.**

„ვიმედოვნებთ, ეს წერილი გახდება პირობა იმისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მსგავსი შემთხვევები არ განმეორდება“, – აცხადებენ საქართველოს საპატრიარქოში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს წერილი გამოუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ ორ სახელმწიფოს შორის ამჟამად არსებული ურთიერთობები არ შეეფერება ქართველი და რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

„ამაოა სხვადასხვა ძალის მცდელობა, ქართველებსა და რუსებს შორის შუღლი ჩამოაგდონ. ორ სახელმწიფოს შორის ამჟამად არსებული ურთიერთობები არ შეეფერება ქართველი და რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. ჩვენს ხალხებს შორის ყოველთვის არსებობდა მჭიდრო კავშირი, რწმენის ერთიანობა და კულტურათა სიახლოვე, – ნათქვამია რუსეთის პატრიარქის წერილში.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ მზერა უცხოეთიდან



# ვითომ გაქრებოდა მონობა ევროპაში, ქრისტიანობა კათოლიკე ინკვიზიტორების ამარა რომ დარჩენილიყო?

## ინტელიგენცია და თანასწორობის პრობლემა

(მესამე გვერდიდან)

რასაც გულისხმობს რუსი მოაზროვნე „არისტოკრატში“, სავსებით გასაგებია, მაგრამ მაინც უმჯობესი იყო, მის ნაცვლად აქ „ელიტა“ ეხმარა. თორემ ჩვენი ლუარსაბ თათქარიძე, რომელიც უეჭველი ელიტაა, არისტოკრატი გამოვა. არისტოკრატი არ გამორიცხავს ინტელიგენტს, ელიტა კი მისი პირდაპირი ანტიპოდია. არისტოკრატი იმით არის ინტელიგენტი, რომ მზად არის, გაწიროს თავისი ელიტური ინტერესები, ადამიანთა „დიდ-პატარაობის გაურჩევლობისათვის“ (ილიას გამოთქმაა); არისტოკრატობას, ანუ ინტელიგენტობას მოკლებულ ელიტას კი ვერ წარმოუდგენია უდიდ-პატარობა.

თანასწორობის ინტელიგენტური სულისკვეთება წინ ეღობება პოსტსაბჭოთა პოლიტიკური ძალების უთანასწორობისადმი მისწრაფებას. საბჭოთა სისტემაც იმისათვის დაანგრიეს (თუ დაანგრევინეს), რომ „ძველი კეთილი“ უთანასწორობა აღედგინათ. უთანასწორობა უფლებრივ ასპექტს გულისხმობს და არა ოდენ მატერიალურს. მატერიალური უთანასწორობა სამართლიანი და ჰუმანური (ადამიანის ბუნებისათვის შესაბამისი) მოვლენაა, რამდენადაც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შრომითი უნარებით, ყაირათიანობითა თუ მოთხოვნილებებით (კომპოზიტორს პიანინო სჭირდება, გლეხს - თოხი, კალატოზს - ქაფჩა). მაგრამ ეს უთანასწორობა უფლებრივი თანასწორობით, ანუ პატიოსანი შრომით უნდა იყოს მოპოვებული და არა შარაგზის თუ სახელმწიფოებრივ-საკანცელარიო ყაჩაღობით, რასთანაც დღეს გვაქვს საქმე. უფლებრივი უთანასწორობა არა მარტო ანტიჰუმანური (ანტიადამიანური) მოვლენაა, არამედ ანტიღვთიურიც, რამეთუ ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. ამ გაგებით, ღვთაებრივი სისტემაა დემოკრატიაც, რომლის არსი კანონის წინაშე ყველა მოქალაქის, მათ შორის ხელისუფალისაც, თანასწორობაში მდგომარეობს. ეს ახლადმოვლენილი ბატონები კი არ სჯერდებიან მატერიალურ უთანასწორობას და ეპოტინებიან უფლებრივსაც, რათა უშრომლად და ოფიციალური ყაჩაღობით (3200-ლარიანი და მეტი „ხელფასები“ სხვა არა არის რა, თუ არა ოფიციალური ყაჩაღობა) მოიპოვონ იგი. ესენი კაპიტალისტები არ არიან. კაპიტალისტი მშრომელი ადამიანია, რომელიც, გაკოტრების რისკის ფასად, წარმოებაში ატრიალებს თავის შრომითვე მონაგარ კაპიტალს. ესენი ანაქრონული და კრიმინალური ფეოდალები ბრძანდებიან, რომლებიც დანაშაულებრივად მაღლდებიან ადამიანებსა და კანონებზე და აიგივებენ თავიანთ თავებს სახელმწიფოსთან. ეს ვილაც ინტელიგენტები კი ამ დროს „სხვაგვარად აზროვნებენ“, გონებას ურევენ მონებსა და ყმებს და, რაღაც „კანონის უზენაესობაზე“, „დემოკრატიაზე“ და „თანასწორობაზე“ ლაპარაკით, საქმეს „უჩმახებენ“ მათ.

იური სტოლიაროვი მართებულად აღნიშნავს, რომ ყალიბდება ახალი ელიტა, რომელიც „პოსტინდუსტრიული მონობის“ პერსპექტივით, შუა საუკუნეებში აბრუნებს კაცობრიობას.

საბჭოთა იდეოლოგია, თანასწორობის იდეას რომ იცავდა, ერთმანეთში ურევდა უფლებრივი და მატერიალური თანასწორობის პრინციპებს. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, რომ საბჭოთა კავშირს რეფორმა სჭირდებოდა და არა დანგრევა, ვგულისხმობთ, თანასწორობის იდეის გადასარჩენად, მატერიალური თანასწორობის („ნიველიროვკის“) მცდარი მინარევისაგან მის გაწმენდას. რაც შეეხება უფლებრივ თანასწორობას, იგი ქრისტიანული იდეაა და მას ალტერნატივა არა აქვს.

საბჭოთა სოციალიზმი ინკვიზიციით დასნეულებულ კათოლიციზმს შეიძლება შევადაროთ, რომელიც ყოფნა-არყოფნით ემუქრებოდა ქრისტიანობას. ათეიზმი უარყოფდა ქრისტიანობას, კათოლიციზმის ნაცვლად. სტალინსაც ხომ სურდა მღვდელი გამოსულიყო, მაგრამ სასულიერო სემინარიაში გამეფებულმა ფარისევლობამ ათეისტად აქცია იგი. მარტინ ლუთერი კი სხვაგვარად მოიქცა: მან უარყო კათოლიციზმი და არა ქრისტიანობა, რითაც იხსნა ევროპა მონობისაგან.

ჰეგელის აზრით, **„ჭეშმარიტი საფუძველი იმისა, თუ რატომ აღარ არის ქრისტიანულ ევროპაში მონობა, სხვა არაფერში არ უნდა ვეძიოთ, თუ არა თვით ქრისტიანობის პრინციპში. ქრისტიანული რელიგია არის აბსოლუტური თავისუფლების რელიგია და მხოლოდ ქრისტიანებისათვის გააჩნია ადამიანს როგორც ასეთს, მნიშვნელობა თუ ღირებულება თავის უსასრულობასა და ზოგადობაში“.**

მაგრამ საკითხავია, გაქრებოდა მონობა ევროპაში, ქრისტიანობა კათოლიკე ინკვიზიტორების ამარა რომ დარჩენილიყო და ათეისტურ უკიდურესობას შეეცვალა იგი?!

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე.**

◎ „ქართული აკადემია“

# ხელისუფლება პოლიტიკური სივრცის მიტაცებას ცდილობს

**ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ქართული აკადემიის“ წარმომადგენელმა, რეჟისორმა ნუკრი ქანთარიამ, რაც პარტიების დაფინანსების წესის შეცვლას უკავშირდება.**

ქანთარიას განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“, პოლიციის, უშიშროების სამსახურებისა და კრიმინალური სამყაროს ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოს პარლამენტში მორიგი თაღლითობა ჩაიფიქრეს.

იურიდიულმა კომიტეტმა განიხილა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი, რომლის მიხედვითაც ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობა აგრძელებს მრავალპარტიული სისტემის ნგრევის კურსს. შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას ველარ მიიღებენ „ახალი მემარჯვენეები“, აგრეთვე, ირაკლი ოქრუაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის პარტიები.

მისივე თქმით, ეს კი შეიძლება განვიხილოთ „ნაციონალთა“ შურისძიებად იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე, რომლებმაც პარლამენტში შესვლაზე უარი თქვეს და შთამბეჭდავი პოლიტიკური და მორალური მარცხი აგემეს 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში „გამარჯვებულ“ „ნაცმოძრაობასა“ და მის არალეგიტიმურ საპარლამენტო უმრავლესობას.

როგორც ქანთარიამ აღნიშნა, „ქართული აკადემია“ „ნაცმოძრაობის“ ამ უკიდურესად ულირს ქმედებას აფასებს საქართველოში პოლიტიკური სივრცის მთლიანად მიტაცების მორიგ მცდელობად.

მანვე აღნიშნა, რომ თუ ტელეკომპანია „კავკასიას“ ფინანსური პრობლემები შეექმნება და ამის გამო აღნიშნულ არხს დახურვა მოუწევს, საზოგადოება ფეხზე დადგება და პირადი შემოწირულობებით შეძლებს ტელეკომპანიის გადარჩენას.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ინფორმაცია

## ირაკლი მენაღარიშვილი: ამერიკას საქართველოში შექმნილი რთული ვითარების კალაპოტში ჩაყენება შეუძლია

**ამერიკას კონფლიქტთა დარეგულირებისა და ვითარების დეესკალაციის უდიდესი შესაძლებლობა აქვს, ამიტომ მისი პოზიცია საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, — ამის შესახებ ექსპერტმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა.**

— ამერიკა ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომელსაც შექმნილი ვითარების კალაპოტში ჩაყენება და მართვა შეუძლია. ამერიკის საქართველოსადმი კეთილგანწყობა ნათელია, ამიტომ სავარაუდოა, რომ პრობლემები საქართველოს სასიკეთოდ გადაწყდება, — განაცხადა მენაღარიშვილმა.

მისივე თქმით, რუსეთს კონფლიქტების გაყინულ მდგომარეობაში შენარჩუნება სურს, რასაც ხელი ისევ და ისევ საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა შეუშალოს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ცხინვალის პრესსამსახური აცხადებს...

**სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტის ინფორმაციით, ღამით ქართულმა მხარემ სოფელ ავნევთან დე ფაქტო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოზე იერიში მიიტანა.**

პრესსამსახურში აცხადებენ, რომ გასული ღამის განმავლობაში საგუშაგოს მიმართულებით სროლა ორჯერ განხორციელდა. საპასუხო ცეცხლი არ გახსნილა და ამიტომ დაშავებულები და დაღუპულები არ არიან.

## კონდოლიზა რაისის იმედი აქვთ

**სამხრეთ ოსეთი იმედოვნებს, რომ კონდოლიზა რაისის ვიზიტი ქართულ-ოსურ ურთიერთობებში დაძაბულობის განმუხტვას შეუწყობს ხელს, — ამის შესახებ სააგენტო „რეს“-ს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენელმა რუსეთში დიმიტრი მედოევმა განუცხადა.**

— აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა დიალოგზე და კონფრონტაციის გაღრმავების გზა აირჩია. ამაზე მიუთითებს ოსური დასახლებული პუნქტების დაცხრილვები, რომელთა შედეგად ადამიანები იღუპებიან, —აღნიშნა მედოევმა.

მისივე თქმით, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ადეკვატურ რეაგირებას ახდენს მიმდინარე პროცესებზე, რუსეთია.

— ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის აშშ გაითვალისწინებს კონფლიქტის მოგვარების რუსულ მიდგომას და მხარს დაუჭერს რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო ინიციატივებს, — აღნიშნა მედოევმა.

## მგზავრთნაკადი იზრდება

**როგორც საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციიდან იტყობინებიან, 2008 წლის 6 თვის მონაცემებით, საქართველოდან ან საქართველოში გადაყვანილია 382 643 მგზავრი, რაც 45 პროცენტით მეტია შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.**

თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან რეგულარული და არარეგულარული რეისებით გადაყვანილია 341 629 მგზავრი, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან — 35 352.

მგზავრთნაკადმა, 2007 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 617 პროცენტით მოიმატა.

სატვირთო გადაზიდვების მოცულობა კი, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ინფორმაციით, 49%-ით გაიზარდა. 2008 წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან გადაზიდულია 7 754 792 კგ. ტვირთი.

## ფერმერული მეურნეობა ფრთებს შლის

**სოფელ ქვიტირში (წყალტუბოს რაიონი) ფერმერთა მომსახურების კიდევ ერთი ახალი ცენტრი გაიხსნა.**

ღონისძიებას ადგილობრივი მთავრობის, ათასწლეულის ფონდის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილობრივი ფერმერები დაესწრნენ.

ცენტრის მეპატრონემ ავთანდილ კახიძემ ათასწლეულის ფონდისგან 46,200 აშშ დოლარის გრანტი მოიპოვა. ამ თანხითა და 65,554 აშშ დოლარის თანამონაწილეობით მან შეძლო ცენტრის აშენება და გარემონტება. პროდუქციის გასავრცელებელი ავტომანქანის და საოფისე ავეჯის შესყიდვა. ასევე დაფარა მარაგისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, მარკეტინგის, ტრეინინგისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ხარჯები.

ცენტრი ადგილობრივ ფერმერებს უზრუნველყოფს მცენარეთა დაცვის და ვეტერინარული საშუალებებით. ასევე მიაწვდის მანქანა-დანადგარებს, ჩაატარებს სასწავლო ტრეინინგებს, უზრუნველყოფს ფერმერებს სავაჭრო კრედიტებითა და ინფორმაციით ბაზრების შესახებ. პროექტის განხორციელების შედეგად, წყალტუბოს რაიონის 2,000-მდე ფერმერი ისარგებლებს მაღალხარისხიანი პროდუქციითა და მომსახურებით. ამასთან, ცენტრში შეიქმნა 10 ახალი სამუშაო ადგილი.

**ინტერპრესნიუსი**

◎ წკეპლიკა

# სად არ ჩაგისაფრდებიან!

**ეს დღეებია ზემო აფხაზეთი და იქ დატრიალებული ამბები საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.** ჩვენი ტელეწამყვანები კი გაჯიუტდნენ თუ რა (ნამეტურ „საზოგადოებრივი“ გულმოდგინეობს), ამ მხარეს კვლავაც კოდორის ხეობად მოიხსენიებენ. არადა, პრეზიდენტმა ერთხელ ყველას გასაგონად თქვა, — დალის ხეობა კი არა, კოდორის ხეობა კი არა, — **ზემო აფხაზეთი!**

კოდორის ხეობაო, მიხვედრით რატომაც, ბალაფში და მისი ძმაკაცები ამბობენ.

ოპონენტები ჩვენს პრეზიდენტს რა, საზოგადოებრივ ტელევიზიაშიც ჰყავს?!

**გურამ პავლიაშვილი**
**ბოდბისხევიდან**

ენერგომომარაგება

**რას ვიზამთ, ცხოვრება ასე ყოფილა და ალბათ კარგა ხანს ასევე გაგრძელდება — დიდ აღმართს დიდი დაღმართი შეენაცვლება. ჩვენ, ქართველებს, ბოლო წლებში მსგავსი მაგალითების მეტი რა გვინახავს. სულ ახლახან არ იყო, საცხოვრებელი ბინიდან განათებული ფანჯრის დანახვა რომ გვენატრებოდა? ეს ყველაფერი მორჩა, წარსულს ჩაბარდა, ახლა საქართველოში ჰესების მფლობელები იმდენ დენს გამოიმუშავეებ, სად წაიღონ და როგორ გაასაღონ, აღარც კი იციან.**

# დენი იმდენი გვაქვს, ორ თურქეთს ეყოფა, ფასი კი...



## ადრე „მოწანწკარე“ დენი გვტანჯავდა, ახლა – „გადმოხეთქილი“ ტარიფი

ღმერთსა მადლი, ამ საქმეში, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, მეზობელი თურქეთი გვიწევს პარტნიორობას, თორემ მარტოს გზის გაგნება ძალიან გაგვიჭირდებოდა. ლაპარაკია ზამთარზე, როცა ჩვენში ელექტროენერგიის დეფიციტი იქმნება და ის თურქეთიდან შემოგვაქვს, აგრეთვე, ზაფხულის პერიოდზე, როცა ჭარბი ელექტროენერგია, პირიქით, თურქეთში გაგვაქვს. სამთავრობო გეგმის მიხედვით, უახლოეს 4-5 წელიწადში საქართველო იქცევა ელექტროენერგიის ექსპორტიორ ქვეყნად, რაც მის ისედაც მწირ ბიუჯეტს საკმაო შემოსავალს შემატებს.

ალბათ იკითხავთ — რისი იმედით აპირებს მთავრობა ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდას? რა თქმა უნდა, მარტო ენგურჰესი, რომელიც ქვეყანაში ჰიდროენერგიის უდიდეს ნაწილს იძლევა, პრობლემას ვერ გადაჭრის. ასეთ შემთხვევაში ენერგეტიკის სამინისტროს უფრო შედარებით მცირე ჰესებისა ეიმედება, რომელთა რიცხვმა სამომავლოდ შეიძლება ოთხმოცსაც გადააჭარბოს, თუკი მათი მშენებლობით უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები დაინტერესდებიან. ასეთი ინტერესი თავად თურქებმა გამოიჩინეს, ისინი პირობას იძლევიან, რომ უახლოეს 7-8 წელიწადში საქართველოში დღეს არსებული ჰესების რაოდენობას გააორმაგებენ, წარმოებული ელექტროენერგიის 40 პროცენტს ზამთრობით ადგილზე დატოვებენ, ხოლო დანარჩენებს საექსპორტოდ გაიტანენ.

მცირე ჰესებით „მოჩარდახდება“ მთელი საქართველო. ისინი აშენდება იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში და სად აღარ. ამასთან, ელექტროენერგიის გასატანად, თურქეთის საზღვრამდე მივა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი, რომელიც რუსეთსა და აზერაიჯანთან დამაკავშირებელ ხაზებს მიუერთდება და ერთიანი ელექტროწრედი შეიქმნება. ელექტროხაზების დაზიანების შემთხვევაში, რაც არც თუ იშვიათია, ელექტროენერგია ამ სარეზერვო ხაზით გადაიცემა, რაც განამტკიცებს მთელი ელექტროსისტემის სიმყარეს.

ერთი სიტყვით, პროგრამა ისეთია, რომელიც ქვეყანასაც გაანათებს და გულსაც. ერთადერთი, რამაც შეიძლება ხასიათი წაგიხდინოს, ის არის, რომ იმ ადგილებში, სადაც ჰესები უნდა აშენდეს, დღესდღეობით არც ინვესტორები გამოჩენილან და არც მშენებლები. და მეორეც, ახლის აშენებას ვინ ჩივის, თურმე რაც აშენებულია, ისინიც, როგორც უკვე ვთქვით, იმდენს დენს აწარმოებენ, რომ იმის გასაღებაც უჭირთ.

ამ ორი დღის წინათ ერთ ასეთ ჰესში (რომელში, დასახელება არ ისურვა) მომუშავე ენერგეტიკოსმა ნუგზარ შარაშიძემ შემომჩივლა:

— ორი კვირაა, რაც ჰესი გაგვიჩერეს, უმუშევრად დავწანწალებ, აღარ ვიცი, რა გზას დავადგე.

**— როგორ თუ გაგიჩერეს?** — გავვოცდი, **— ჰესი ხომ თქვენი საკუთრებაა?**

— ასეა, მაგრამ როცა ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ელექტროენერგიის წარმოების ბალანსი ირღვევა, უფლება აქვთ, ჰესი გაგვიჩერონ.

**— რა ბალანსზეა ლაპარაკი?**

— მინისტრის ბრძანებით წინასწარ დადგენილია, გენერაციის რომელმა ობიექტმა რა მოცულობის დენი უნდა გამოიმუშაოს და მიაწოდოს სისტემას. თუ ამ მოცულობას გადააჭარბებ, ჭარბი დენის გასაღებას პრობლემა ექმნება და დროებით, შეიძლება რამდენიმე თვითაც კი, გაგაჩერონ.

**— გადაირევი კაცი, ადრე უდენობა გვტანჯავდა, ახლა კი ჭარბი დენი გვიქმნის პრობლემას?**

— ასე გამოდის. ყველაზე უარესი ის არის, რომ ასეთ დროს წყალი მუქთად იღვრება, ჩვენ უმუშევრად ვრჩებით, დენის ტარიფი კი, რომელიც ხალხს მაჯლაჯუნასავით აწევს, ერთი თეთრითაც არ მცირდება.

**— თქვენც ადექით და, თუ კერძო მესაკუთრე ხართ, შეუმცირეთ, ბატონო, ტარიფი მომხმარებელს და დენის გასაღების პრობლემა აღარ გექნებათ.**

— დიდი სიამოვნებით შევამცირებდით, ერთ კილოვატში 5-6 თეთრსაც დავჯერდებოდით, მაგრამ ამის უფლებას რომ არ გვაძლევენ?

**— ვინ არ გაძლევთ?**

— კორუმპირებული სისტემა, რომელიც ელექტროენერგიის წარმოება-განაწილებაშია ჩაუდებული და არც მწარმოებელს და არც მომხმარებელს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს.

ნუგზარ შარაშიძე შეეცადა, განემარტა, რა კორუფციაზეა საუბარი. ადრე, თქვა მან, გენერაციის ყველა ობიექტიდან გამომუშავებული ელექტროენერგია საბითუმო ბაზარს მიეწოდებოდა და დენს თავადვე ჰყიდდა. დღეს ეს ბაზა აღარ მუშაობს და ჰესები დენის მოწოდებაზე კონტრაქტებს გამანაწილებელ კომპანიებთან აფორმებენ. როცა დენის ჭარბწარმოებაა (ეს ძირითადად ზაფხულში ხდება) და გასაღება ვეღარ ხერხდება, ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით, გენერაციის ცალკეული ობიექტების საქმიანობა დროებით წყდება.

ასეთ დროს, ბუნებრივია, გორდება უკმაყოფილების ტალღა ცალკე ჰესების მეპატრონეთა შორის, რომლებიც თანახმანი არიან, ტარიფზე 3-ჯერ იაფად გაყიდონ საკუთარი პროდუქცია და ცალკე მოსახლეობაში, რომელსაც ერთ კილოვატში 14-18 თეთრს აფცქვნიან. რატომ? თუ საქართველოში თავისუფალი საბაზრო პრინციპები მოქმედებს, დენის ჭარბწარმოების დროს მისი ფასი უნდა იკლებდეს. ჩვენში კი პირიქით ხდება, დენის ტარიფი შემცირების მაგივრად იზრდება. ამას გამანაწილებელი კომპანიები იმით ახერხებენ, რომ ტარიფში განაწილების წილს 25-30 პროცენტის ნაცვლად 65 პროცენტს დებენ. გაუგონარი რამ ხდება — დენის წარმოებაზე რამდენჯერმე ძვირი მისი მომხმარებლამდე მიტანა ჯდება (!?).

რატომ? ვითომ საქართველოს მთაგორიანი რელიეფი აბრკოლებს დენის ტრანსპორტირებას? თუ დავუჯერებთ, ამის თქმაც არ მოერიდებათ დენის „მეტრანსპორტეებს“, მაგრამ ყველა ხომ ხედავს, მათ რა მუცლის გვრემაც ამოძრავებთ — ფულის კეთების წყურვილი! მათთან ერთად იმავე წყურვილს, რა თქმა უნდა, დენის ადგილზე მიმტანთა კუდის ამწევი სემეკი და ამ უკანასკნელის თავზე ხელისდამსმელი მთავრობაც იკლავენ.

როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ხელი ხელს რომ არ ბანდეს, სხვა მხრივ როგორ მოახერხებდნენ, დენზე მუდმივად მაღალი ტარიფის შენარჩუნებას, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა ჰესებს ერთი კილოვატის წარმოება დაახლოებით 2 თეთრი უჯდებათ, „ტრანსპორტელებს“ კი ადგილზე მიტანამდე 12-14 თეთრი ეხარჯებათ? რა თქმა უნდა, ასეთ სულთამხუთავ გარემოში სემეკს დენის ტარიფის შემცირებას ვერ მოვთხოვთ, პირიქით, შეიძლება მისი გაზრდისკენაც ვუბიძგოთ. ახლა, როცა მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი ყოველდღიურად იზრდება, საქართველოში დენის ტრანსპორტირება როგორ გაიაფდება: სემეკი კიდევაც რომ გაბრიყვდეს და ალოგიკური ნაბიჯი გადადგას, იმედია, მთავრობა, ახლაც, ისევე როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ხალხის გვერდით დადგება... დენის ტარიფს ბევრს თუ ვერა, 1-2 თეთრს მაინც წაუმატებს.

**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

## მონიტორინგი ადამიანის უფლებათა დაცვისთვის



**ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი არსენიშვილი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე ექსპერტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებს განაგრძობს.**

**გია არსენიშვილი პარლამენტში ეუთოს მისიის ოფიცერს ადამიანის უფლებათა საკითხებში თინა დევისს შეხვდა.**

**შეხვედრაზე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოსთვის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს.**

**არსენიშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტმა მოამზადოს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ეფექტური საკანონმდებლო ინიციატივები და უკვე მიღებულ კანონებზე ეფექტური მონიტორინგი განახორციელოს.**

**მისი თქმით, კომიტეტში რამდენიმე ცნობილი არაქართულენოვანი დეპუტატია და ის მაქსიმალურად შეეცდება, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მათი შესაძლებლობები გამოიყენოს.**

## აშშ-ს ბიზნესის დაცვას სთხოვენ

**შპს „კაფე რუსთაველის“ და „ლაზერი 2-თბილისის“ თანამშრომლები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ქართულ-ამერიკული ბიზნესის დაცვას სთხოვენ.**

**ამ მოთხოვნით გუშინ ამერიკის საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართეს და კონდოლიზა რაისს საქართველოში ამერიკული ბიზნესის დაცვა სთხოვეს.**

**როგორც აქციაზე ზემოაღნიშნული ობიექტების ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განაცხადა, ორივე დაწესებულებაში 50-პროცენტიანი წილი ამერიკელებს აქვს.**

**— ერთი წლის წინათ ყოველგვარი სამართლის გარეშე „კაფე რუსთაველის“ და ფირმა „ლაზერი 2“-ის გამოსახლება მოხდა კუთვნილი ფართიდან. ამ ობიექტების და ბიზნესის 50-პროცენტის მფლობელი ამერიკელი პარტნიორი კომპანია „ინტერპრაისიზია“, რომელსაც მილიონობით ინვესტიცია აქვს განხორციელებული. აღნიშნული ფაქტის გამო, ერთ-ერთმა ამერიკელმა კონგრესმენმა ამ ხნის განმავლობაში არაერთი წერილი გამოუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პასუხი ჯერ არ ჩანს, — განაცხადა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.**

**მისივე თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელიც არის შეტანილი, რომლის განხილვა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა ჭიანურდება.**

**ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დაცვის წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეებს პროტესტის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე გამოხატვის საშუალება არ მისცეს, რის გამოც „კაფე რუსთაველისა“ და ფირმა „ლაზერი 2“-ის წარმომადგენლებმა საელჩოს მახლობლად მდებარე მშენებარე ობიექტთან გადაინაცვლეს.**

## ბრუცელოზის ეპიდემია მარნეულში

**მარნეულის რაიონში ბრუცელოზით დაავადების შვიდი შემთხვევა დაფიქსირდა.**

**სოფელ ალგეთში ხუთი ადამიანია დაავადებული, თითო — ქესალოსა და კირიხლოში.**

**გავრცელებული ინფორმაციით, სოფელ ალგეთში დაავადებული პირუტყვი დაკლეს და მოსახლეობამ საკვებად სწორედ ეს ხორცი გამოიყენა.**

**სოფლებში ბრუცელოზის გავრცელებას სპეციალისტები პირუტყვის მეპატრონეების უყურადღებობით ხსნიან.**

ინტერპრესნიუსი

მხარე

## თელავში ბიუჯეტს არაეფექტიანად ხარჯავენ

**საქართველოს „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“, თელავის მუნიციპალიტეტის 2008 წლის ბიუჯეტის ხარჯვის პირველი 6 თვის შედეგები გამოაქვეყნა, სადაც საკრებულოს მუშაობა მკაცრადაა გაკრიტიკებული.**

ცენტრის მტკიცებით, თელავის მუნიციპალიტეტის 2008 წლის ბიუჯეტი არასწორადაა დაგეგმილი. სტრატეგიული კვლევების მიერ გამოცემულ საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგებს სრულად ასახავს, ნათქვამია, რომ **„2008 წლის თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ ატარებს პროგრამულ ხასიათს. ბიუჯეტში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ის პრიორიტეტები, რაც წესით უნდა განისაზღვროს ხარჯების დაგეგმვისას“.**

როგორც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თელავის წარმომადგენელმა **ლევან გრიშიკაშვილმა** განაცხადა, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუჯეტს არაეფექტურად ხარჯავს. „საკრებულო ყოველ სამუშაო დღეს 3000 თაბახის ფურცელს ხარჯავს, რაც ნორმაზე მეტია. ასევე ჩვენმა ორგანიზაციამ აღრიცხა, რომ საკრებულო იმაზე ბევრ მონოს მოიხმარს, ვიდრე ბიუჯეტშია გათვალისწინებული“, – აცხადებს ლევან გრიშიკაშვილი.

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს არ ეთანხმება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. **ლევან ახალაური** არასამთავრობო ორგანიზაციის ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს.

## სოდ-ის მაღალჩინოსნის წინააღმდეგ გამოძიება შეწყვიტეს

**კახეთის საოლქო პროკურორის მოადგილის ვაჟა მაღრაძის 2008 წლის 24 ივნისის დადგენილებით შეწყდა წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის კახეთის სამხარეო სამმართველოს განყოფილების უფროსის დავით ლეგაშვილის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე.**

როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გადმოგზავნილი საგაზეთო პუბლიკაციის მასალები, რომლის თანახმადაც საქართველოს შსს ყოფილი ოფიცერი **გიორგი დალაქიშვილი** ჟურნალისტ **გელა მთივლიშვილთან** მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ის უკანონოდ დააკავეს ადმინისტრაციული წესით და მისგან სოდის თანამშრომლებმა ზეწოლის შედეგად მიიღეს აღიარება ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების შესახებ. ასევე გიორგი დალაქიშვილი ასახელებდა პირებს, რომლებიც სოდის კახეთის სამმართველოს თანამშრომელთა მიერ მიწოდებული ნარკოტიკებით ვაჭრობდნენ.

დადგენილებაში პროკურორი განმარტავს, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო შეწყდა, რასაც გიორგი დალაქიშვილი არ ეთანხმება. მისი თქმით, სოდის მაღალჩინოსანს კახეთის საოლქო პროკურატურიდან მფარველობენ. დალაქიშვილი პროკურატურის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინათ გიორგი დალაქიშვილი გააფრთხილეს არ ეაქტიურა გაერთიანებული ოპოზიციის მხარდასაჭერად, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ნარკოტიკების ჩადებით და დაპატიმრებით დაემუქრნენ!

## „დავალება – გუბერნატორს“...

**კახეთის ზოგიერთ სოფლებში ყველამ შენიშნა თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე დაკიდებული ყუთი წარწერით: „დავალება გუბერნატორს“. როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, ამგვარი ყუთის განთავსება მთელი კახეთის მასშტაბით იგეგმება.**

ორიოდე დღის წინათ რამდენიმე ასეთი ყუთი დედოფლისწყაროშიც ჩამოიტანეს. ისინი სოფელ არბოშიკის და სოფელ არხილოსკალოს ყოფილი საკრებულოების შენობებში განთავსდა. ყუთი მოსახლეობის წერილებისთვისაა განკუთვნილი. მაშ ასე, კახელებო – „დაავალეთ გუბერნატორს“!

## საკრებულოს თავმჯდომარეს კლანურ მმართველობაში ადანაშაულებენ

**დედოფლისწყაროს საკრებულომ, როგორც ვიცით, თავმჯდომრის პოსტზე საკმაოდ ძველი კადრი თენგიზ გონაშვილი დაამტკიცა.** მანამდე გონაშვილი საკრებულოს ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე იყო. შეგახსენებთ, გასულ წლებში ის ქალაქის მერის პოსტს იკავებდა. გონაშვილი გამგებელ **ლევან ბაღაშვილის** აქტიურ თანაგუნდელად მოიაზრება, რის გამოც ბევრს საუბრობენ, რომ საკრებულოს წინა თავმჯდომარეს **გივი ბუჩუკურს** წასვლა სწორედ ახალმა გამგებელმა აიძულა და სავარძელი თავის თანაგუნდელს გადაულოცა.

თენგიზ გონაშვილს ადგილობრივები თავის დროზე პირადი ინტერესების გატარებაში ადანაშაულებდნენ. როგორც გაირკვა, გონაშვილი საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევიდან ორიოდ თვეში, სახელმწიფო სტრუქტურების წამყვან თანამდებობაზე ნათესავების დანიშვნას იწყებს.

გონაშვილის დისშვილი **ნიკალა ფიროსმანაშვილი** ახლახან დედოფლისწყაროს ხანძარსაწინააღმდეგო რაზმის უფროსად დაინიშნა. საკრებულოს თავმჯდომრის და **მარიეტა გონაშვილი** კი დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორია.

ამ საკადრო ცვლილებებმა საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ადგილობრივები ამ ნაბიჯს გონაშვილის კლანის გაძლიერებად აფასებენ და საკრებულოს თავმჯდომარეს ურჩევენ, ოჯახის კეთილდღეობის ნაცვლად, მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე იზრუნოს.

## ლაგოდეხი კვლავაც მალარიის ენდემურ კერად რჩება

**როგორც ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჰერეთისკარში მცხოვრებლები აცხადებენ, ტემპერატურის მომატებასთან ერთად, მალარიის გავრცელების საფრთხე გაიზარდა. ჰერეთისკარელები უფრო მეტ ყურადღებას და დახმარებას ითხოვენ...**

„ქიაურის დატბორილ ტერიტორიაზე ჩატარებული დამშრობი სამუშაოების მიუხედავად, რაიონი მალარიის გავრცელების ენდემურ კერად მაინც რჩება, რადგან ხელოვნური ტბები და გასაწმენდი დაჭაობებული არხები ისევ მოუგვარებელი პრობლემაა. ეს კი მალარიის გადამტანი კოღო-ანოფელესის გამრავლებისთვის ხელსაყრელი პირობებია. ტემპერატურის მომატებასთან ერთად სოფელში კოღოების განსაკუთრებული სიმრავლე უკვე საგრძნობლადაა შესამჩნევი. აქ 2004 წლიდან დღემდე მალარიის ყველაზე მეტი შემთხვევაა აღრიცხული. საშიშროება წელსაც არსებობს“, – წუხან ლაგოდეხელები.

მალარია ადამიანის ჯანმრთელობისთვის რომ სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს, ამას სოფელ თამარიანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი **მარინა სიფრაშვილიც** გვიმტკიცებს: „მალარიასთან საბრძოლველად და ეფექტური შედეგის მისაღებად სახელმწიფო პროგრამაში დაფინანსების გაზრდაა საჭირო, რადგან მალარიის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღება მოსახლეობის მიერ მუდმივად უნდა მოხდეს“, – აცხადებს მარინა სიფრაშვილი. მანამდე ვიდრე სახელმწიფო დაფინანსება გაიზრდება და მალარიის კერების მოსპობა უფრო ეფექტურად იქნება შესაძლებელი, მოსახლეობა კოღო-ანოფელესისგან დაცვას და მალარიის თავიდან აცილებას საკუთარი ძალებით ცდილობს.

**ილია მარტყოფლიშვილი,**
**კახეთიდან**



კვალი დროში

# ერთი ასწლოვან მუხათაგან

**ზედიზედ გვიწევს დაუვიწყარი მასწავლლებლების ლამაზი, ასწლიანი იუბილეს აღნიშვნა – სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლებისა.**

აკადემიკოს ვაგან მამასახლისოვს, რა თქმა უნდა, გამორჩეული ნიჭისა და ასევე გამორჩეული პიროვნული თვისებების წყალობით წილად ხვდა იშვიათი პატივი: იმ დიდი ოთხეულის წევრობა, საქართველოში თანამედროვე ფიზიკის მეცნიერებათა განვითარების სათავეებთან რომ იდგა. ესენი არიან მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, ელეფთერ ანდრონიკაშვილი და გივი ხუციშვილი...

როგორი ღირსეული, ღვაწლმოსილი და დამსახურებულიც არ უნდა იყოს ცხოვრებიდან წასული კაცი, იმისი ხსოვნის სათუთად შენახვას უთუოდ სჭირდება ერთგული გუშაგები. სწორედ ასეთ როლში მოგვევლინენ ბატონი ვაგანის აღზრდილები, რომლებმაც საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის თანადგომით გამოუშვეს მდიდარშინაარსიანი კრებული **„სახე ნათელი. ვაგან მამასახლისოვი – 100“.**

გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საპატრიარქოს უნივერსიტეტისა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მიერ ორგანიზებული ხსოვნის დღეც, დიდუბის პანთეონში საფლავზე გასვლითა (სადაც ბატონი ვაგანი ერთგულ თანამეცხედრესთან ნუნუ კეცხოველთან ერთად განისვენებს) და თსუ-ის II კორპუსის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში მემორიალური სხდომით.

ბრწყინვალე მკვლევარი თეორიული ბირთვული ფიზიკის რამდენიმე საკითხში პიონერი, მახვილი მეცნიერული ალღოთი, მეცნიერული გამბედაობით აღჭურვილი, სიახლის გრძნობის გამუდმებით მქონე; ასევე ბრწყინვალე ლექტორი (საგნები: ზოგადი ფიზიკა, თეორიული მექანიკა, კვანტური მექანიკა, ატომბირთვის თეორია...) დახვეწილი ქართულით, მკვეთრი დიქციით, შეუდარებელი ჟესტიკულირებითა და არაჩვეულებრივად გასაგები ენით გადმომცემი ლექციის შინაარსისა; უაღრესად განათლებული, ფერწერით, ისტორიით, ფილოსოფიითა და მხატვრული ლიტერატურით გატაცებული, ამ სფეროთა კარგი მცოდნე და პროფესიულად განმსჯელიც; კლასიკური მუსიკის თავდავიწყებით მოყვარული, ოპერისა და ბალეტის თეატრის, საკონცერტო დარბაზების ხშირი სტუმარი და თვითონაც ჩინებული შემსრულებელი მუსიკალური ნაწარმოებებისა (გნებავთ ხმითა და გნებავთ ფორტეპიანოზე დაკვრით); ასევე ხშირი დამსწრე ფეხბურთისა და კალათბურთის მატჩებისა და ქართული გუნდების მხურვალე ქომაგი; ჭეშმარიტი ინტელიგენტი, საოცრად ტაქტიანი, საქმეში საკმაოდ აკადემიური, მკაცრი, ერთი შეხედვით თითქოს „მშრალი“, თითქოს „მოღუშული“ სახით მოსიარულე, მაგრამ სინამდვილეში გულთბილი დამოკიდებულებით, დემოკრატიულობით, ყურადღებიანი მიდგომით, თანამშრომლებისა თუ მოწაფეების დაცვა-გამოსარჩლებით მომხიბლავი – ამგვარი და კიდევ მრავალი დასამახსოვრებელი შტრიხითაა დახასიათებული წიგნში იუბილარი ვაგან მამასახლისოვი, წიგნში, რომელიც შეუსვენელივ, „ერთი ჩაჯდომით“ წავიკითხე. „დამხასიათებლებს“, მოგონებათა ავტორებს შორის არიან მეცნიერული კადრების წრთობის ამ დიდოსტატის ხელში გამოვლილი, სამეცნიერო სარბიელზე გამოყვანილი აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები... ხელში „გამოუვლელი“ გამონაკლისი მომგონებელი ერთადერთია – გამოჩენილი რუსი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, აკადემიკოსი არკადი მიგდალი, ბატონ ვაგანზე ოთხიოდე წლით უმცროსი კოლეგა. კრებულში მისი წერილი რუსულ ენაზეა შეტანილი და მკითხველმა მომიტევოს, თუ თარგმნილი ისეთივე შთამბეჭდავი არ გამოჩნდება, როგორიც დედანშია.

**„მას შემეცნების სიხარული მიჰქონდა ადამიანებთან**

არიან პიროვნებანი, რომელთა დაკარგვას ძნელად ურიგდები. გინდა იფიქრო, რომ ისინი დროებით წავიდნენ, მალე დაბრუნდებიან და შეძლებ ლაპარაკის გაგრძელებას, შენი საზრუნავის, ახალი ამბების მოყოლას, რჩევის მიღებას, გაგების მიღწევას.

სწორედ ასეთი გახლდათ ვაგან ივანეს ძე მამასახლისოვი. ჩემს მეხსიერებაში ცოცხლდება მისი ნატიფი, ხატისებრი, მოსაუბრისადმი ყოველთვის ყურადღებიანი სახე.




ვაგან ივანეს ძის დახასიათებას ერთი სიტყვის რომ შევეცადოთ, მთავარი თვისების გამორჩევას რომ შევეცადოთ, ეს იქნება დახვეწილობა ინტელიგენტური კაცისა. მასთან საუბარი ყოველთვის განიჭებდათ ინტელექტუალურ ტკბობას აზრის მოხდენილობით, გამოხატვის ორიგინალობით, შეცნობის სიღრმით. „რა არის წარსული? – იტყოდა ვაგან ივანეს ძე. – ის აღარაა. წარსული დარჩა მხოლოდ დღევანდელი დღის შეგრძნებებზე პროექციაში. რა არის მომავალი? ის ჯერაც წინაა, მხოლოდ განისაზღვრება დღევანდელი დღით... გამოდის, რომ საჭიროა მხოლოდ აწმყოზე ლაპარაკი. ოღონდ აწმყო – ეს წამია წარმავალი. ერთადერთი ღირებული ჩვენს ცხოვრებაში – ეს მაინც მერმისია.

მეცნიერებაში, როგორც ცხოვრებაშიც, ბატონ ვაგანს გამოარჩევდა გემოვნების გრძნობა და ზომიერების გრძნობა. დიდად განათლებულ, მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტს და პროფესიონალს ახალგაზრდებისათვის თავისი შინაგანი სიმდიდრის გადაცემის მადლიც ეცხო, ადამიანთათვის შემეცნების სიხარული მიჰქონდა და თამამად მიეკუთვნებოდა მშობლიური ქვეყნის განმანათლებლებს“.

აი ასეთი ესეი მიუძღვნა დიდ ლევ ლანდაუსთან ერთად თეორიულ ფიზიკაში ერთ-ერთი ახალი მიმართულების შემქმნელმა საქართველოს საამაყო ფიზიკოსს.

... ბატონი ვაგანის მოწაფეები დიდი სითბოთი იხსენებენ მასწავლებლის ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს, დაუვიწყარი რექტორის ნიკო კეცხოველის დას ქალბატონ ნუნუს, დეიდა ნუნუს, რომელიც, როცა კი შემთხვევა ექლეოდა, დედობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა სახელოვანი მეუღლის შეგირდებს. ცოლ-ქმარს ორი ვაჟი დარჩათ – უმცროსი, გიორგი, ბიოფიზიკოსია, უფროსი, სანდრო მამასახლისი, ჩვენი ძვირფასი კოლეგა-ჟურნალისტი სოფლად სახლობს „რთულ ცხოვრების უარმყოფი, მცირედითაც კმაყოფილი“...

**თამაზ ებანოიძე**

ვაიმე, ენავ!

# საკითხავი აი ეს არის

## როდემდე უნდა იჟღეროს „გაიჟღერა“-მ?



**როგორც ბაჩანა ბრეგვაძის ორტომეულის — „დრო და მარადისობა“ — კარიბჭეშია აღნიშნული: „პირველ ტომში შედის ესსეები, გამოკვლევები და მოკლე ჩანაწერები რელიგიის, ფილოსოფიის, მწერლობისა და მეცნიერების აქტუალურ საკითხთა შესახებ, მეორე ტომში კი — ანტიკური, ელინისტური, რენესანსის ეპოქისა და ახალი დროის ევროპული მწერლობის, ფილოსოფიისა და მეცნიერების კლასიკოსთა თხზულებების თარგმანები, რომელთა უმრავლესობა ბოლო 10-15 წლის მანძილზეა შესრულებული“. აქვე უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური დებატებით და ერთმანეთის გინებით გართულ ჩვენს საზოგადოებას, რა თქმა უნდა, ყურადღების მიღმა დარჩა ამ თვალსაჩინო ფილოსოფოსისა და ლიტერატორის ეს, მართლაც, ფრიად საყურადღებო ნააზრევი და თარგმანები. თუმცაღა, მჯერა, მომავალში ყოველსავე ამას სათანადო ადგილი დაეთმობა ქართული სააზროვნო სივრცის გაფართოებასა და განვითარებაში. ამჯერად კი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციო ბატონ ბაჩანა ბრეგვაძის ერთ შენიშვნას, რომელიც ასეა დასათაურებული:**

**„გაიჟღერა“**

**ეს ახალი „მარგალიტია“,** რუდუნებით დანერგილი ღმერთმა იცის, ვის მიერ.

ნერგმა იხარა.

რატომაც არ იხარებდა: მომვლელი აკლია თუ?

აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებით დაწყებული და რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული, ყველას პირზე აკერია „გაიჟღერა“.

ვაი ფაქიზი და დახვეწილი სმენის პატრონს, ეს „ხელის-ხელ საგოგმანები“ ნეოლოგიზმი ისევე რომ უხვრეტს ყურს, როგორც ყალბი ნოტი — აბსოლუტური სმენის მქონე მუსიკოსს.

„გაიჟღერა“ სხვა არა არის რა, თუ არა რუსული „прозвучал“-ის კალკი.

მაგრამ „прозвучал“-ის ძირია „звук“ რომელიც აღნიშნავს ყოველნაირ ბგერას, ყოველნაირ ჩქამს თუ ხმიანობას. ამ მხრივ ის სავსებით, აბსოლუტურად ნეიტრალურია.

„გაიჟღერა“-სი კი — ჟღერა, რომლის მნიშვნელობის დიაპაზონი შეუდარებლად უფრო ვიწროა: ის აღნიშნავს მხოლოდ ჰარმონიულ ხმიერებას („სიმთა ჟღერა“, „საკრავთა ჟღერა“ძ.

ჩვენ კი ნებისმიერ კონტექსტში თვითნებურად „ვატრიალებთ“ მას.

მალე, ალბათ, ამასაც გავიგონებთ: „გინებამ გაიჟღერაო“.

მე შენ გეტყვი, გინება აკლია ჩვენს დღევანდელ ყოფას.

არავინ იცის, რატომ გავწირეთ ასე ულვთოდ ჩვენთვის ესოდენ ბუნებრივი — „გაისმა“, „გახმიანდა“, „ითქვა“, „გამოითქვა“ და სხვა მისთანანი, რომელთა ჭაჭანებაც აღარსად არის.

მარტო „გაიჟღერა“-ში რომ იყოს საქმე?!

მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმეა.

რა ელის ჩვენს ხელში ჩვენივე თვითმყოფობის ერთადერთ რეალურ საყრდენსა და საფუძველს — ქართულ ენას? (ყველა სხვა „საყრდენი“ დღესდღეობით ილუზორულიაძ.

საკითხავი, აი, ეს არის.

საკითხავი სხვა ათას მოუგვარებელ პრობლემასთან ერთად, მართლაც, რომ აი ეს არის!

მაგრამ საკითხი, ამჯერად, ეხება უმთავრესს — ქართულ ენას, მის მოვლასა და დაცვას კალკისაგან, ათასგვარი სარეველისაგან, არა მარტო „გაჟღერებისაგან“, არამედ „გახმაურებისაგან“ და სხვა მისთანებისაგან (თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ თავიანთ ადგილზე ეს სიტყვები შეუცვლელია!ძ. დაცვას, ძირითადად, უცხო სიტყვისაგან მაშინ, როდესაც მისი მშვენიერი შესატყვისი, თანაც არაერთი, გვაქვს.

სხვათა შორის („პატრიოტები“ რუსეთუმეობას თუ არ დამწამებენძ, აქ ერთი ფაქტი უნდა მოვიყვანო: ამ ოთხიოდე წლის წინათ დუმაში მიიღეს დადგენილება, თუ რომელიმე დეპუტატი თავის გამოსვლაში რუსულის ნაცვლად უცხო სიტყვას გამოიყენებდა (თუნდაც „სპიკერს“ და ა.შ.ძ, **გარკვეული** თანხით დაჯარიმდებოდა!

ასე აქცევენ ყურადღებას ენას, რომელზედაც არანაკლებ 150 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს და რომელსაც სახელმწიფოს გარდა, სხვა ორგანიზაციებიც იცავენ.

სიტყვა გ-ა-რ-კ-ვ-ე-უ-ლ-ი ზემოთ შემთხვევით არ მიხსენებია. ამ დროს სამართლიანი იქნება კითხვა: მაინც რამდენით? არადა ვილაცისთვის გარკვეულია, მაშინ როდესაც არაფერიც არ არის გარკვეული — სწორედაც რომ უცნობია!

აბა, დააკვირდით: უადგილოდ იმისმა წარამარა გამოყენებამ რამდენი მშვენიერი სიტყვა მიაძინა (ნუ ჩამოვთვლით!ძ, რომლებიც შემდეგში (გარკვეული?! დროის გასვლის მერეძ შეიძლება დავიწყებასაც მიეცეს!

თუმცა, ეს მეორე პრობლემაა და, ვფიქრობ, ღირს (ღირს კი არა, აუცილებელიცააძ ყურადღების გამახვილება!

**მიხეილ კოპალეიშვილი**

გვეხმაურებიან

# „ჩვენი ეზო“ — თბილისური და განუმეორებელი

**ამას წინათ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ წავიკითხე ცნობილი მეცნიერისა და მამულიშვილის ლევან ფრუიძის წერილი „იტალიური ეზო“. მასში აღნიშნული ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც მთლიანად ვიზიარებ, ჩვენი დედაქალაქის წარსულს და კერძოდ მისი გარკვეული მონაკვეთის დამახინჯების მცდელობას ეხება. მეც კარგა ხანია მაწუხებს ეს ხელოვნურად შექმნილი პრობლემა და დარწმუნებული ვარ, ასევე ყველა ჭეშმარიტ თბილისელს.**

ბევრისთვის ცნობილია, რომ ჩვენი ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე გადის გადაცემა „იტალიური ეზო“. ამ დასახელებას არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს ქალაქთან. როდესაც გადაცემის მესვეურებს შევეკითხე, თუ რატომ ჰქვია გადაცემას „იტალიური ეზო“, სადაც მხოლოდ თბილისურ ამბებზეა საუბარი, მიპასუხეს და ამასთან ერთად შეფარული წუხილითაც — რა ვქნათ, ამ სატელევიზიო პროექტის ავტორები და დამფინანსებლები უცხოელები არიანო“. ნუთუ, აქაც გავიყიდეთ?

რა არის ეს? არცოდნა ჩვენი წარსულისა თუ შეგნებული დამახინჯება ფაქტებისა და მომავალი თაობებისთვის მშობლიური ქალაქის ისტორიის წართმევის მიზანმიმართული მცდელობა?

იტალიაში, ამ უმშვენიერეს ქვეყანაში რამდენიმეჯერ ვარ ნამყოფი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ლეგენდარულ ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლთან ერთად. თითქმის ფეხით გვაქვს მოვლილი რომის, მილანის, ნეაპოლის, ვენეციის, სორენტოს — ამ უძველესი და ულამაზესი ქალაქების ქუჩები და ვერსად წავაწყდით „სოლოლაკს“, „ვერისუბანს“, „ორთაჭალას“, „ხარფუხს“...

აქ კი, ჩვენს სათაყვანებელ თბილისში თურმე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე „იტალიური ეზოების“ ცვენა ყოფილა...

ბარაქალა ამ „აღმოჩენის“ ავტორებს!

და კიდევ ერთი: ბევრს ახსოვს ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე აღმართული უზარმაზარი ბილბორდები სიგარეტ „მარლბოროს“ რეკლამითა და მსხვილი წარწერით: „ჩაწვდით ამერიკის სულს“, რა იყო ეს? მართლა რეკლამა, თუ მიზანმიმართული დივერსია ქართული სულიერების წინააღმდეგ? ანდა რატომ და როგორ უნდა ჩაწვდეს 3000-წლოვანი ქვეყნის ქართველობა 200-წლიანი, თუმცა დიდი, მაგრამ შეკოწიწებული სახელმწიფოს სულს?!

გასტროლების დროს 70-მდე სახელმწიფოში ვარ ნამყოფი, მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში თვეობით ნაცხოვრები, მთელი მსოფლიო ქედს იხრიდა „როკვით განფენილი ქართული გენიის“ წინაშე, მაგრამ დავრჩი და მუდამ ვიქნები ქართული სულის მატარებელი და „თბილისური ეზოს“ ღვიძლი შვილი.

**უცხოური მოდის თავგადაკლულო მიმდევრებო, მოეშვით „ტინგიცს“! მართლაც თურაშაულის პატრონები სხვაგან ნუ ეძებთ პანტას!!!**

**თენგიზ უთმელიძე**



ტელევიზია

# მელია იცინის, იცინის და... ჯანმრთელდება სიცილით

**ვუყურებ დილის გადაცემას და — დავით შავდია დავინახე ეკრანზე, ჩემი თანაკორპუსელი! დათო გვერდით სადარბაზოში ცხოვრობდა დედ-მამასა და დასთან ერთად, ბავშვობასა და სიჭაბუკეს ჩემს თვალწინ „ატარებდა“... მერე მამა გარდაეცვალა, დედა და დაი ახლაც იქ ბინადრობენ...**

ძალიან სპორტული ბიჭი იყო, სპორტი თავდავიწყებით უყვარდა, ყოველ დილით დიღმის მასივის ტყე-პარკში გულმოდგინედ ვარჯიშობდა (ეგ ადგილი ახლაა გასაცოდავებული, თორემ მაშინ მართლა ტყეც იყო და პარკიცძ. ისეთი ტანი დაიყენა, ტარზანს შეშურდებოდა: წელში წვრილი, ბეჭებში გაშლილი, ღონიერმკლავებიანი... კაი ხანს რაგბისაც მისდევდა (ერთხელ, მახსოვს, ერთი მატჩის შედეგი რომ ვკითხე, მითხრა: წავაგეთ, მაგრამ მეტოქეები მაგრად მივბეგვეთო...ძ.

შემდეგ თვალთ მიეფარა და შევიტყვე, რომ აღმოსავლურ რელიგიებს გაუტაცია, ინდოეთში წასულა და იოგებთან ერთად ბუდიზმის მოძღვრებისათვის მოუკიდია ხელი.

ინდოეთიდან ისევ „აგორდა ჭური მოძრავი“ და გერმანიაში დამკვიდრდა, სადაც თურმე სიცილის ბიზნესში ჩაება (მოტობურთისა არ იყოს, ნარკობიზნესი გამიგია, ციტრუსების ბიზნესი გამიგია, ღვინის ბიზნესი გამიგია, სამშენებლო ბიზნესი გამიგია — მომკალით და, აქამდე სიცილის ბიზნესზე არა მსმენოდა-რაძ, ჰოდა, იმ გადაცემაში სიცილის ბიზნესმენად წარმოგვიდგა.

სიცილი რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე სასიკეთოდ მოქმედებს, ეგ როგორ არ ვიცოდი, მაგრამ ასეთი სასწაულების მოხდენა თუ შეეძლო, ამას ვერ ვიფიქრებდი: სიცილის სეანსებმა თურმე ერთ შემთხვევაში ძუძუს კიბოს დაახევინა უკან (კიბოს ხომ ისედაც უყვარს უკუსვლაძ, მეორე შემთხვევაში თირკმლების დაავადებას ასროლინეს კუდით ქვა, მესამეში — უშვილობას უშველეს... თუმცა ცოტა ფასმა შემაფიქრიანა: ნახევარსაათიანი სეანსი 150 ევრო „ნაღირებაა“. თუმცა „ევრო-2008“-ის მერე 150 ევრო რა მოსატანია...

მოკლედ, ასეა თუ ისე, გერმანიიდან ჩამოსული დავით შავდია სიცილის ბიზნესსა და დიდებულ მიზნებსაც გვთავაზობს. მართალია, ამჟამინდელ საქართველოს სასაცილოდ არა აქვს საქმე, მაგრამ მაინც ვიცინოთ, თავსიცილს კაცი არ მოუკლავს (ნეტავ ამ ბიზნესიდან ტირილის ბიზნესამდე ერთი ნაბიჯია?..ძ.

ეგ კი არა, სუბიექტურ-ინდივიდუალურიდან, რაკი არც ისეთი ეგოისტი ვარ, როგორიც უნდა ვიყო, ფიქრი საერთო-ეროვნულზე გამექცა: რა უჭირს, სიცილ-ხარხარით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (კომუნისტური გადმონაშთებით მოაზროვნე ვერა და ვერ შევეგუე ვერც ცხინვალის რეგიონსა და ვერც სამაჩაბლოსძ კონფლიქტების მოგვარებაც რომ ვცადოთ? დათომ რომ პუტინი, ბაღაფში და კოკოითი აგვიხარხაროს, რა იცი, ეგებ დათმობებზე წამოვიდნენ...

სიტყვა და საქმე დათოზეა, ჩემს ძველ მეზობელსა და აწინდელ ახალ ბიზნესმენზე...

**თამაზ ებანოიძე**

**გამოფენა**

# ათასწლეულებიდან თბილისში ჩამოაღწია...

**უძველესი ჩინური ბრინჯაოს ნიმუშების ექსპოზიცია წლების მანძილზე მთელს მსოფლიოში წარმატებით მოგზაურობს და თავის ისტორიასა და კულტურას მილიონობით ადამიანს აცნობს. ბრინჯაო ერთ-ერთ ძვირფას ლითონად ითვლებოდა ჩინეთში და მისი ტექნოლოგიისა და დამუშავების საუკეთესო ტრადიციები არსებობდა. საგულისხმოა, რომ ძველი ცივილიზაციის ამ მონაპოვარს ჩინელები ისე სათუთად უფრთხილდებიან, რომ ქვეყნის გარეთ არ გააქვთ, ამიტომ საექსპოზიციო ნიმუშები ორიგინალებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მათ ასლებს. ზედმიწევნითი სიზუსტით შესრულებული ასლების გაკეთების კულტურაც ეამაყებათ ჩინელებს.**



ჩინური ბრინჯაოს ნიმუშებმა, უფრო სწორად მისმა ბრწყინვალე ასლებმა ჩინეთის საელჩოს თაოსნობით საქართველოშიც ჩამოაღწია და ქარვასლაში გამოიფინა. იგი მნახველს საშუალებას აძლევს გაეცნოს ბრინჯაოს ხელოვნების ისტორიას მონათმფლობელური წყობილებიდან ფეოდალური საზოგადოების ადრეულ ეტაპამდე.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია 43 ნივთი, რომელთა უმეტესობა აღმოჩენილია პროვინცია შაანსში, ჯოუს დინასტიის დროს, როცა ჩინური ბრინჯაო ყველაზე დიდ აღმავლობას განიცდიდა.

ვირტუალური ოსტატობით დამუშავებულ ნივთებში ყველაზე ძველი ჩვენს ერამდე 2100 წლით თარიღდება. ყველაზე ცნობილ ნამუშევართა შორის არის სი ქიანგის ჭურჭელი, რომელზეც აღწერილია ჯოუს დინასტიის შვიდი მეფის მიღწევები. ნივთები სხვადასხვა დანიშნულებისაა – საყოფაცხოვრებო, საბრძოლო, სარიტუალო... ნაირგვარი ფორმის და სტილის ფერადოვან ნიმუშებში მეტადრე სჭარბობს ღვინის სასმისები, რაც იმის დასტურიც არის, რომ ისევე როგორც დღეს, ძველ ჩინეთშიც ყურძნის უამრავი ჯიში არსებობდა. ღვინის ჭურჭლებს უმეტესად ცხოველთა ფორმა აქვთ. იშვიათი ორნამენტებით არის შემკული ხარის ფორმის ღვინის ჭურჭელი, რომელიც ჩვენს ერამდე 1300 წლით თარიღდება. 1100 წლით თარიღდება ჭურჭელი ცხოველთა გამოსახულებით. განსხვავებულია დიდებულთათვის განკუთვნილი ღვინის ჭურჭელი.





ჩვენს ერამდე 1700 წლით არის დათარიღებული შანის ეპოქის რიტალური დანიშნულების სკულპტურული თავები, მათ შორის დაკრძალვის რიტუალისთვის განკუთვნილი მამაკაცის ფიგურა.

ყურადღებას იქცევს დასაბანი ჯამი „ში ციანი“, აქვე დამთვალიერებელი იხილავს მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც ჩინელები იყენებდნენ ბრძოლის დაწყების წინ, თურმე ისინი დღესაც არაჩვეულებრივი ჟღერადობით გამოირჩევიან.

როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა **დავით ლორთქიფანიძემ** ვერნისაჟზე აღნიშნა, ამ დონისა და მასშტაბის ჩინური ექსპოზიცია საქართველოში აქამდე არ ყოფილა. ქართველი საზოგადოებრიობა ჩინეთის არქეოლოგიას ნაკლებად იცნობს. ეს შედევრები საინტერესოა არა მარტო არქეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ბრინჯაოს უმაღლესი რანგის ტექნოლოგიებით.

– ბრინჯაოს დამუშავების ხელოვნება ვითარდებოდა ჩინეთის სხვადასხვა დინასტიაში. ეს ექსპოზიცია მცირე ნაწილია იმ დიდი მემკვიდრეობისა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მათი რაოდენობა კი დაახლოებით 10 ათასამდეა. მათ დროის გამოცდას გაუძლეს და გვეხმარება ჩინური ისტორიის სხვადასხვა ასპექტების შეცნობაში, – გვითხრა ექსპოზიციის გახსნისას ჩინეთის სრულუფლებიანმა ელჩმა **ვან ქაივენმა.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი,**
**თეა ცუცქირიძე**

**სამეგრელოს მხარე**

## „ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენ...“

**„გადათეთრებული“ იყო 9 ივლისს ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დარბაზი, რადგან საზოგადოება „ზუგდიდელის“ მესამე ყრილობაზე ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ წარმოდგენილი — ისინი, რომელთა სიტყვასაც დიდი ფასი აქვს საზოგადოებაში. აქ იყვნენ ყოფილი გუბერნატორები, ყოფილი გამგებლები, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, მაგრამ არ იყვნენ ხელისუფლების ამჟამინდელი წარმომადგენლები, იმის მიუხედავად, რომ „ზუგდიდელი“ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და არ არის ხელისუფლების ოპოზიცია.**

დრამატულ თეატრში ზედმეტად დრამატული გამოდგა ყრილობის ფინალი, როდესაც უნდა აერჩიათ საზოგადოების თავმჯდომარე. წარმოდგენილი იყო ორი კანდიდატურა – ს/ს „ენგურქაღალდკომბინატის“ დირექტორი მურმან ნაჭყებია და ბიზნესმენი, საფეხბურთო კლუბ „ბაიას“ პრეზიდენტი და ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის დირექტორი ზვიად სიჭინავა. კენჭისყრა იყო ღია, ამიტომაც ვერ მიაღწიეს შეთანხმებას კანდიდატთა მომხრეებმა. სიტუაცია ერთობ დაიძაბა, ამ დროს სიტყვა ითხოვა ყოფილმა გუბერნატორმა ბონდო ჯიქიამ. მან „ზუგდიდელის“ თავმჯდომარედ დაასახელა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ხოლო მოადგილეებად მურმან ნაჭყებია და ზვიად სიჭინავა.

ბონდო ჯიქიას ამ წინადადებას აღფრთოვანებით შეხვდა დარბაზი. მიუხედავად ოთარ ფაცაციას წინააღმდეგობისა, ის ერთხმად აირჩიეს საზოგადოების თავმჯდომარედ.

**ლადო ქირია.**
**ზუგდიდიდან**

**საქმე №2/3017-07**

## სასამართლო სხდომის ოქმი

### (ამონაწერი)

**1 ივლისი, 2008 წელი ქ. თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს**
**სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ**
**(მოსამართლე მაკა ჭედია**
**სხდომის მდივანი თეონა საანიშვილი)**

**განიხილა ვიტალი ცუხიშვილისა და მარინე შუბითიძის სარჩელი როლანდ მედოევის და ნუნუ მებაღიშვილის მიმართ ქონების უპატრონოდ ცნობისა და მესაკუთრედ ცნობის შესახებ.**

**მოსამართლე აცხადებს**
**ადგილზე თათბირით მიღებულ**

### განჩინებას

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეებს – როლანდ მედოევსა და ნუნუ მებაღიშვილს სასამართლო სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინების მეშვეობით შემდეგ გარემოებათა გამო:

ვინაიდან მოპასუხეების ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო თვლის, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია მხარის ადგილსამყოფელის დაუდგენლობისას მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარების წესი. ასეთ დროს, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ და მოპასუხეებს სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის დღის თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მოპასუხეებს როლანდ მედოევსა და ნუნუ მებაღიშვილს საჯარო შეტყობინებით ეცნობოთ სასამართლოს სხდომის დროის შესახებ;

- ვიტალი ცუხიშვილისა და მარინე შუბითიძის სარჩელის გამო როლანდ მედოევისა და ნუნუ მებაღიშვილის მიმართ ქონების უპატრონოდ ცნობისა და მესაკუთრედ ცნობის შესახებ №2/3017-07 საქმეზე სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია **2008 წლის 21 ივლისს 14 საათზე,** რომელიც ჩატარდება შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6 სხდომის დარბაზი №24.**
- თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე ან მოპასუხე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო უფლებამოსილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.
- დაბარებული პირი ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოს სასამართლოს.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

2. განჩინება ცალკე არ საჩივრდება.

**მოსამართლე მ. ჭედია**
**სხდომის მდივანი თ. საანიშვილი**
**ამონაწერი შეესაბამება დედანს**

## ჩვენი ბიბლიოთეკა: ახალი თარგმანი

**ოსტროგონში** ყოფნისას ერთ-ერთ სამიკიტნოში მოჭმული ფრჩხილები ჩაუყარეს არყიან თხლაშოში და უთხრეს, ისეთ კაცთ, როგორიც შენა ხარ, ანუ სუყველა შენს თვისტომს, უძრავი ქონების ყიდვა და ღვინის გაყიდვა გეკრძალებათო. კომორანში გაბრიელმა წესიერად დაბინავებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე თავს დაადგა შემცვლელი ხუცესი რაფაილი. მღვდელ-მონაზონს გვარიანად კი გადაუხადეს, მაგრამ, როგორც ბუდიმელ მეუფეს, აუწყეს: „მთელი იმისი ბარგი-ბარხანა ქუჩაში გადმოყარეს“. ხუცესმა რაფაილმა იმისი წასვლის შემდეგ თქვა: „მაგან ხალხთან მიდგომა არ იცის! ყველას ყველაფერს პირში ახლის. ადამიანს კი უკნიდან უნდა მიეპარო, თუ გინდა, რომ ხეირი ნახო!“

1732 წელს, ჯურის მრევლში მსახურებისას, გაბრიელმა თავისი გვარი — სტეფანოვიჩი — ბერძნული ენიდან თარგმნა და ხელს როგორც ვენცლოვიჩი აწერდა. სანამ ის აქ იყო, ბრძანებულება გამოქვეყნდა, რომლის მიხედვით იმასაც და სუყველა იმის თვისტომს ავსტრიის იმპერიაში ანდერძის დატოვება ეკრძალებოდათ. მომდევნო წელს კომორანში მან წიგნის წერა დაიწყო, რომელსაც ძველეკლესიურად „მიმოდადება“ დაარქვა, მაგრამ ვერ დაამთავრა. 1735 წელს ის წიგნი მან ისევ ჯურში ჩაიტანა, სადაც იქაური მღვდლის პახუმის სიკვდილის შემდგომ გადაიყვანეს. სანამ თავისთვის განკუთვნილ სახლში შევიდოდა და მოეწყობოდა, გაბრიელი სასაფლაოზე წავიდა, მამა პახუმის დაკრძალვაზე, და იქ თავზარი დასცა მრევლთაგანთა ქარაფშუტობამ, რომელთაც იმისი წინამორბედის დასაფლავების ჟამს „ისეთი ლხინი გაემართათ, თითქოს ქორწილში არიანო, და მევიოლინენიღა აკლდნენ“. დღეს-ხვალ, დღეს-ხვალ და ამ გაუთავებელ გადასვლა-გადმოსვლაში შეერქვა გაბრიელს „მოხეტიალე მქადაგებლის“ სახელი. 1734 წლიდან იგი საგანგებო რამ წიგნში სუყოველ ნათლობასა და წესის აგებას იწერდა, რაც კი კომორანის ღვთისმშობლის ტაძრად წმინდა მიყვანების ეკლესიაში იმართებოდა, და ეს იმისი ხელით ჩანაწერები 1746 წლამდე გრძელდება, თუმცაღა 1735 წელს მან ჯურში ყოფნაც მოასწრო, სადაც წიგნს წერდა, „ახალნერგად“ წოდებულს, მიმოწერა ჰქონდა ბუდიმელ მეუფე ვასილიე დიმიტრიევიჩთან და ხელს აწერდა როგორც „ჯურელი კაპელანი“. ავსტრიელ ხელისუფალთა დეკრეტით იმას მაშინ როგორც მართლმადიდებელ მღვდელს დაკრძალვებში მონაწილეობა და მიცვალებულთათვის სასაფლაოზე წესის აგება აუკრძალეს.

აქ, ჯურში, ფიქრებაშლილი გაბრიელი ხან გვერდით ჩაუვლიდა ხოლმე ერთ იდუმალ, ძნელად საცნაურ სახლს, რომელიც მზეზე ხილის ტკბილ ღვეზელსა ჰგავდა, ხოლო ღამით ვენურ ტორტს. ყოველი ჩავლისას იგი მუშტრის თვალით ჰკვლევდა სახლის კარფანჯრებს, შესასვლელის წინ კიბესთან ფეხსაცმლის გასაწმენდად გამართულ ნამგლის მოყვანილობის ლითონის მოწყობილობასა და ზარის ვერცხლის სახელურს. ამ სახლში ცხოვრობდა იან ტომკა სასკი, რომლის წიგნიდანაც („Illyricum vetus et novum~) ოდესღაც სენტანდრეაში პადრე რუჟიჩკას დაკვეთით ერთ-ერთ თავს იწერდა. ხან ისიც კი უფიქრია, ზარი ხომ არ ჩამომერეკაო, მაგრამ თვალს უმალ თავისი მტვრიანი მონაზვნური ანაფორა წაართმევდა ხოლმე, რომელიც მარტო სიღატაკის საბუთად თუ გამოდგებოდა. ფული მკერდზე ჩამოსაკიდებელი ჯვრის საყიდელიც კი არა ჰქონდა. და კარგად ესმოდა, რომ ფეხსაცმლის საწმენდი ნამგლის იქით ნაბიჯსაც არ გადაადგმევინებდნენ.

როს 1737 წელს ავსტრია-თურქეთის ახალი ომი დაიწყო, მღვდელ-მონაზონი გაბრიელი სენტანდრეაში გაიქცა და იქ პირველად იხილა თავისი შვილი. აქსინიამ მოუყვანა სანახავად. ბიჭმა, სახეჩატეტკილმა და შავთვალებამ, არც აცია, არც აცხელა და ფეხი წვივში წასცხო. ის თავდაპირველად სერბულ ეკლესიაში იყო მონათლული, ხოლო მერმე რომის კათოლიკურში და ტანთ კარგად ეცვა. მზრუნველად პადრე რუჟიჩკა ჰყავდა, რომლის სახლშიც კვლავინდებურად მუშაობდა აქსინია. იმ დილით ხმა გავარდა, ბელგრადი ევაკუირებულია და თურქთ დაუბრუნდათო, ვენაში კი ავსტრიის იმპერატორი კარლ IV მიიცვალა, უძეოდ გადაეგო, ვაჟი მემკვიდრე არ დარჩაო. ქადაგებაში გაბრიელი აწ უკვე ახალი იმპერატორის, დაქვრივებული დედოფლის მარიამ ტერეზიას სახელს იხსენიებდა. სენტანდრეაშიც და ახლომახლო გზებზეც უამრავი ლტოლვილი ირეოდა, რომელნიც ავსტრიის ჯართან ერთად თურქთაგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ლტოლვილთა შორის აღმოჩნდა სერბეთის პატრიარქი არსენიე IV შაკაბენტაც.

გაბრიელი მუდამ სმენაგაფაციცებული უგდებდა ყურს პატრიარქ არსენიეს სენტანდრეის ტაძარში სერობის ლოცვის ჟამს. ფერმკრთალ და გასავათებულ არსენიეს შავარშიიანი შავი სამოსელი ემოსა. გულის ჯვარი მეწამულ ბაფთაზე ეკიდა. წვერი, ანუ ნიკაპის თმა, ისე ჰქონდა მოშვებული, ნამგალს მოუგავდა. გაბრიელი, მსახურებად მდგარი, გალობისას გულში იმეორებდა ხოლმე პატრიარქის ლექსს, რომელიც ახლა სინამდვილედ ქცეულიყო:

თეთრო ქალაქო,
განახვნე ბჭენი,
და ტახმა ჭამოს
შვილები შენი.

მალე თავად მღვდელ-მონაზონი აღმოჩნდა განხმულ ბჭესთან.

მოძღვარი კირილე და ბუდიმელი მეუფე კვლავ შეუჩნდნენ გაბრიელს, თავი დაანებე სამრევლო მსახურებასა და ეკლესიებში ქადაგებას, სადმე მონასტერში წადიო. ისიც ადგა და კომორანში წავიდა. იქ, ქუჩაში, ერთი ადგილობრივი ახალგაზრდა დიაკვანი გადაეყარა, იმან ჯერეთ კარგა ხანს გაშეთებულმა უცქირა, თვალებს არ უჯერებდა, მართლა ის არის, თუ არაო, მერმე კი კალამქაღალდს მივარდა და კომორანის მატიანეში ერთი წინადადება შეიტანა, რომელმაც ორივეზე მეტხანს იცოცხლა: „ჩვენში გამოჩნდა მღვდელ-მონაზონი გაბრიელ სტეფანოვიჩი, სახელგანთქმული სენტანდრეელი მქადაგებელი“.

სოფელ პომაზის მახლობლად, სადაც მაჭანკალნი ყოველი სახლის წინ ჩერდებიან, რათა თითო ჭიქა ღვინო გადაყლურწონ, ერთი თავწყაროა, რომელსაც ხალხში სულეიმანოვაცს ეძახიან... იმის მაგივრად, რომ პირდაპირ მონასტერში წასულიყო, გაბრიელმა რამდენიმე ღამე ამ სოფელში გაატარა, ვენახების ყარაულთა ქოხებში. ქარს ილებდა, ქვეყნიერების უსასრულობას გასცქეროდა, პეპლები გაშლილ ხელისგულზე ასხდებოდნენ, ის კი ფიქრს იყო მიცემული: „ავყურებ ვარსკვლავიან ცას, ვითარცა ყრუ უსმენს მუსიკას...“

ერთხელაც დილით უცაბედად გამოეღვიძა, რადგან ძილში იგრძნო, რომ იმის სასთუმალთან ვიღაც იდგა, ოღონდ ქოხში კი არა, კარში. გარეთ რომ გამოვიდა, შავთვალება ბიჭი დაინახა, ტანით ბევრად მაღალი, ვიდრე თვითონ იყო, ბიჭს ხელებზეც და სახეზეც ჭორფლი ეყარა. გაბრიელის გამოჩენისას მან წაისტვინ-წაიჩურჩულასავით:

— პადრე რუჟიჩკა მოგესალმებათ. გეკითხებათ, რა არის მკვდრეთით აღდგომა და რას ნიშნავს „შავი თავადები“? როცა შეგეძლება, უსტარი მისწერე... დედაჩემმა აქსინიამ კი იმად გამომგზავნა, რომ იქნებ ცოტა რამ სარჩო გაგვიჩინო... ყოველდღე დუნაის ნაპირზე ჩადის ციკუტის ძირას დასაჯდომად, ზის და ტირის... აწ უკვე იცი, ვინცა ვარ. ხოლო ნებით თუ არას მოგვცემ, ძალით წავიღებ...

რეტდასხმულმა გაბრიელმა, რომელიც ხეირიანად არც იყო გამოფხიზლებული, ძლივს იცნო ბიჭი, კისერზე კვანძად შეკრულ თმაში წაივლო ხელი, კვანძი გახსნა, ის დუკატი გამოაძვრინა, მრავალი წლის წინათ იან ტომკა სასკის წიგნიდან ერთ-ერთი თავის გადმოწერისთვის რუჟიჩკამ რომ მისცა, და გაუწოდა ბიჭს, თანაც დააყოლა:

— როცა და თუ მოიქონიებთ, დამიბრუნებთ. ეს არის სულ, რაც მამა-




დია. ცარიელი ჯიბეებიღა დამრჩა.

ბიჭმა ფეხი კოჭში წაარტყა გაბრიელს, დუკატი გამოსტაცა და თავქვე დაუყვა გზას.

იმ დღეს გაბრიელის ცხოვრება გორგლად დაიხვა, როგორადაც გველი კვერთხის გარშემო. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, მან სუყოველი თავისი საქმისა და საზრუნავის მოგვარება იზრახა, თითქოს იმისთვის ის საქმეებიც ბოლო იყო და ის საზრუნავ-თავშისაცემიც. და გადაწყვიტა, რომ მონასტერში აღარ წასულიყო, ისევ სენტანდრეაში დაბრუნდა, თავის კოშკში. ერთხელ კიდევ დააპირა თავისი ცხოვრების ძირისძირობამდე შეცვლა.

სენტანდრეამ განაცვიფრა გაბრიელი. მეუფე მღვდელმთავარი ბუდიმისა, თავქალაქბელგრადისა, სიგეტისა და მოხაჩისა ვასილიე დიმიტრიევიჩი დროს ტყუილუბრალოდ არა კარგავდა. ზედიზედ აგებდა ეკლესიებს სენტანდრეაში. წმინდა ნიკოლოზის საყდარი, რომელიც გაბრიელს ხისა ახსოვდა, კინაღამ ველარ იცნო. იმის ადგილას ქვისა იდგა, ახალი სამრეკლოთი.

ფერისცვალების საყდარში რომ შევიდა, გაბრიელმა თვალი ვერ მოსწყვიტა კანკელს, მეტადრე კი ამაღლების ხატმა მოხიბლა, რომელიც მავან უკრაინელს დაეხატა. ახალი ეკლესიების სამრეკლოთა ზარების რეკვამ გარეთ გაიტყუა მღვდელ-მონაზონი. ის ველარ სცნობდა ამ ქალაქს, ვერ გაეგო, რა მოხდა. ერთ-ერთი ახალი სავაჭრო სახლის კედელზე ნიშანი რამ შენიშნა:



მან იცოდა, რასაც ნიშნავს ასეთი ჯვარი: ღუზა იმედისა და დუნაიში ცურვის სიმბოლო იყო, ორმაგი ჯვარი აღმოსავლური წეს-ჩვეულების ქრისტიანობა, ხოლო ოთხიანი ნიშნავდა წმინდა ოთხპროცენტიან დადგენილ სავაჭრო მოგებას... თვითონ სახლი, ამ ნიშნით აღბეჭდილი, უცხოდ მშვენიერი იყო, ახალ ყაიდაზე აგებული. და გაბრიელს თითქოს გონება გაუნათდა. ეს ყველაფერი ვაჭრობისგან მიღებულ ოთხპროცენტიან მოგებას მოეხდინა. აქაური ძველი უქონელი მრევლი ახლა გამდიდრებულიყო დასტურ იმის წყალობით, რომ ვაჭრობდა ორი ერთმანეთს გადამტერებული იმპერიის — ავსტრიისა და თურქეთის საზღვარზე, ორი კონტინენტის სამი რელიგიის საზღვარზე. ზარების რეკვას ადევნებული გაბრიელი ზბეგს მიადგა და იქ სულიწმიდის ახალთახალი ეკლესია აღმოაჩინა. ირგვლივ ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლებოდა...

მღვდელ-მონაზონი აფორიაქებული დააბიჯებდა და თითქოს დაელმებულიყო, რადგან ერთი თვალის მზერა ცოცხალი ჰქონდა, ხოლო მეორესი მკვდარი. იქნებ მეც ყოველივე თავიდან დამეწყოო, ფიქრობდა. მაგრამ ჯერეთ საჭირო იყო ძველ, ცოდვიან ცხოვრებასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, სრული გამიჯვნა, განწმენდა გონებრივადაც და ხორციელადაც. კიდევ ერთხელ. მერმე თავისთან სამრეკლოზე ავიდა, სარკმელში გაიხედა და დაინახა, ყინულის ენთელ-ხორგებზე ქუჩად თავმოყრილნი ფრინველნი როგორ მიფრინავდნენ დუნაის დაყოლებაზე. ცქერას რომ მორჩა, მინაზე პატარა ხატი გამოსახა და ორი უსტარი დაწერა. ერთი პადრე რუჟიჩკას სახელზე, ბერძნულად, მეორე სერბულ საეკლესიო ენაზე იმასთან გასაგზავნად, ვისი ხელქვეითიც იყო, მოძღვარ კირილეს სახელზე. ორივე უსტარი გაბრიელის სიკვდილის შემდგომ გაუგზავნელი იპოვეს.



### 8. იმ კაცის უსტარნი, ვინც აღარაფერს აღარ დაწერს

**1. უსტარი** პადრე რუჟიჩკას წინაშე მიწერილი (ბერძნულიდან გადმოენებული).

*რაკიღა მეკითხებით, ეგების როგორმე უფროისად ცხადი გავხადო ის ამბავი, რაიც, შესაძლოა, საკმარისი სიცხადით ვერ გამოვხატე.*

*ლაპარაკი მაქვს, ჩემო ქრისტესმიერო ძმაო, იმ „შავ თავადებზე“, ამ წინეებზედ თქვენთან სტუმრობისას რომ ვახსენე ღვთისმშობლის ცრემლთა ლეგენდაში.*

*1. ლეგენდაში თქმულია: „ამ ცრემლის გზას, ღვთისმშობლის თვალთაგან მოწანწკარე ცრემლთ დაუსრულებელ მწკრივად ასდევენ ცაში მკვდარნი ყრმანი და სულ ადვილად უქცევენ გვერდს ციურ შავ თავადთა გუნდს...“ ჯერეთ კიდევ მაშინ, ჩვენი შეხვედრისას, ავხსენით, რომ „ყრმანი“ გარდაცვლილთა სულებია. ამრიგად, გარდაცვლილთა სულნი თავიანთი სხვა გვამსხეულებით მოძრაობენ სამყაროსა შინა, სადაც უამრავი განსაცდელი უდარაჯებთ. რამეთუ საუკუნოება, ანუ მარადიულობა, ერთია, დრო-ჟამი კი მრავალია და ზოგიერთი დრო-ჟამი მარადიულობის პარალელურად დის, არცროდის არა კვეთს მარადიულობას. აი ასეთ განსაცდელს უწოდებს ლეგენდა „შავ თავადთ“. ძირითადად ეს ის სივრცეა სამყაროში, სადაც მარადიულობა და დრო-ჟამი ერთმანეთს არა კვეთენ და სწორედ აგრე წარმოიქმნებიან უნაყოფი, ბერწნი დროებანი, რომელთა შიგან შეუძლებელია მარადისობისა და დრო-ჟამის ოქროს კვეთა, ამიტომაც იქ არ შეიძლება რომ „აწმყო“ წარმოიშვას, ამის გამო კი ვერ წარმოიშობა ვერც სიცოცხლე. ასეთი დრო-ჟამნი თუ დროებანი, როგორაც უკვე ვთქვი, მარადიულობას ეპარალელებიან, ოღონდ მარადიულობისაგან განსხვავებით, რომელიც ორივე მიმართულებით მიედინება, ისინი, ლეგენდაში „შავ თავადებად“ წოდებულნი დრო-ჟამნი თუ დროებანი, მიედინებიან მხოლოდ ერთი მიმართულებით, რათა არც არასოდეს არ შეეხონ მარადისობას, და თუ შეხება რამ მაინც მოხდა, ეს მარტოოდენ უსასრულობაში მოხდება, სადაც ისინი, ის „შავნი თავადნი“, ალბათ, იმ უსასრულობაშივე ჩაიძირებიან და იმისაგანვე ალიფხვრებიან. უკეთუ მიცვალებულთა სულნი ესეგვარ „შავ თავადთა“ ხელთ, ანუ უნაყოფო დრო-ჟამის ნიაღვარში აღმოჩნდებიან, მაშინ ისინი თავიანთ „ფარეხში“, უფრო სწორად, თავიანთ „აწმყოში“ ვერ მოხვდებიან, და სიცოცხლისთვის საჭირო გარემოება არ ექნებათ. ხოლო იმათი დრო-ჟამი უკეთუ უნაყოფო დრო-ჟამს გადაკვეთს, ეს იგივე სიკვდილი იქნება. „შავ თავადთა“ გუნდთან შეხვედრის არიდება (ანუ შენი დროის უნაყოფო დრო-ჟამთან გადაკვეთის არიდება) გზის განგრძობისა და სხვა გვამ-სხეულით სიცოცხლის განგრძობას ნიშნავს.*

გადმოაქენა
**ზურაბ გოგიაშვილმა**
(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 100-127.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რაისი სააკაშვილთან ერთად საქართველოს კონფლიქტებს განიხილავს



**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ვიზიტით იმყოფება საქართველოში. ის ხვდება მიხეილ სააკაშვილს და განიხილავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციას.**

ოთხშაბათს, როდესაც რაისი ჩამოფრინდა თბილისში, საქართველომ რუსეთს ბრალი დასდო სამხედრო გამანადგურებლების შემოჭრაში მის საჰაერო სივრცეში.

რუსეთმა ამ განცხადებას კომენტარები არ გაუკეთა, თუმცა რამდენიმე ხნით ადრე კიდევ ერთხელ ბრალი დასდო თბილისს კონფლიქტების ზონაში პროვოკაციების გამო. ამასთან ერთად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „იცავს“ პროვოკატორებს, მხარს უჭერს საქართველოს პოზიციას.

სოფიაში, სადაც კონდოლიზა რაისი იმყოფებოდა საქართველოში გამოფრენის წინ, მან განაცხადა: „ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მიიჩნევს ხელშეუხებლად. უკანასკნელ პერიოდში რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ნაბიჯებს, რომლებმაც პრაქტიკულად უარყოფითი გავლენა მოახდინა გაყინულ კონფლიქტზე საქართველოსა და აფხაზეთს შორის“.

გაეროს უშიშროების საბჭოში განიხილავენ რუსეთის მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის პროექტს, რომელშიც ნათქვამია, რომ თავისი მოქმედებებით თბილისი საფრთხეს უქმნის მშვიდობას კავკასიაში. კერძოდ, ქართულ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ამასწინანდელი აფეთქებების სერიაში.

უშიშროების საბჭოში რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა ტელეკომპანია „ვესტის“ ეთერში განაცხადა, რომ განხილვა მიმდინარეობს ნელა და რთულად.

ოთხშაბათს საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილემ ზურაბ ფოჩხუამ განაცხადა, რომ წინა ღამით ოთხი რუსული გამანადგურებელი იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის თავზე დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში.

უწინ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები უარყოფდნენ საქართველოსთან საზღვრების დარღვევას.

კონდოლიზა რაისის თვითმფრინავის ბორტზე ამერიკის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა გამოთქვა აზრი რუსეთის როლის შესახებ უფრო გულღიად, ვიდრე რაისმა. ჩინოვნიკმა ისურვა, რომ მისი გვარი არ დაესახელებინათ.

„რუსეთმა უნდა შეიგნოს, რომ იმპერია აღარ დაბრუნდება. ავსტრო-უნგრეთი არ დაბრუნდება, ოსმალეთის იმპერია არ დაბრუნდება — და საბჭოთა იმპერიაც მეტად აღარ იქნება“, — მოჰყავს მისი სიტყვების ციტირება რეიტერის სააგენტოს.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კონფრონტაციის სამხედრო ციკლი გამოიმუშავებს საკუთარ დინამიკას და ამას შეუძლია მიგვიყვანოს რეგიონში კატასტროფამდე“, — დაუმატა ამერიკელმა დიპლომატმა.

„საბრძოლო მოქმედებათა განახლებული ციკლი კოშმარი იქნებოდა“, — დააზუსტა მან.

BBC RUSSIAN.com

## ბელორუსიამ ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრე გამოააშკარავა

**გუშინ ცნობილი გახდა, რომ ბელორუსიის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე მუხლით „კომერციული შპიონაჟი“ ბადრი პატარკაციშვილის გერი ძმის ჯოზეფ კეის მიმართ, რომელიც აცხადებს პრეტენზიას განსვენებული ოლიგარქის აქტივებისა და მისი ქონების ნაწილის მართვაზე.** ამავე დროს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა განაცხადა, რომ დაამთავრა ბატონ კეის ადვოკატის ემანუელ ზელცერისა და მისი მდივნის ვლადლენ ფუნტის საქმის გამოძიება. სასამართლოს წინაშე ისინი წარდგებიან ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვისა და ყალბი დოკუმენტების გამოყენების ბრალდებით. წარმოებით ცალკე გამოყოფილია მათი მონაწილეობა შპიონაჟში.



ბელორუსიის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაციისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცენტრის ოფიციალური ცნობის თანახმად, ჯოზეფ კეის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ბელორუსიის სისხლის სამართლის კოდექსის 254 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით. ბატონ კეიზე, რომელიც ბელორუსიის ფარგლებს გარეთ იმყოფება, საერთაშორისო ძებნა ჯერჯერობით არ არის გამოცხადებული, თუმცა გამოძიება არ გამორიცხავს, რომ უახლოეს პერიოდში ამასთან დაკავშირებით გაიგზავნება ოფიციალური მოთხოვნები სხვა ქვეყნებშიც. ბატონი კეი გახდა მესამე ფიგურა გახმაურებულ საქმეში 12 თებერვალს ლონდონში გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის ქონებისათვის ბრძოლაში. ამ დღეებში ბრალდება კომერციულ შპიონაჟში წაუყენეს ბატონ კეის ადვოკატს ემანუილ ზელცერს და მის მდივანს ვლადლენ ფუნკს. შეგახსენებთ, რომ ბატონები ზელცერი და ფუნკი დააკავეს მინსკში მიმდინარე წლის 12 მარტს, სადაც ბორის ბერეზოვსკის დაჟინებული მოთხოვნით გაფრინდნენ მისი საკუთარი თვითმფრინავით, რათა განესაზღვრათ ბადრი პატარკაციშვილის აქტივების მდგომარეობა ბელორუსიაში. ბატონ ზელცერსთან ჰქონდა მინდობილობის ელექტრონული ვერსია ბადრი პატარკაციშვილის ყველა აქტივის მართვაზე, აგრეთვე ანდერძი, რომელიც შედგენილია გარდაცვლილის მიერ გასული წლის ნოემბერში თავისი გერი ძმის ჯოზეფ კეის სახელზე. როგორც გამოირკვა მოგვიანებით, მინსკში მათ ჩამოფრენამდე ბერეზოვსკის და ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის ინა გუდავაძის ადვოკატებმა ინფორმაცია მიაწოდეს ბელორუსიის ძალოვნებს იმის შესახებ, რომ ვიზიტორები ყალთაბანდობის გზით ცდილობენ დაეუფლონ გარდაცვლილი ოლიგარქის ქონებას. შედეგად ბატონ კეის წარმომადგენლები დაპატიმრებული იქნენ ყალბი დოკუმენტების გამოყენების ბრალდებით. შემდეგ გამოძიებამ ბატონ ზელცერს დაუმატა ბრალდება ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდაში, აგრეთვე მათს უკანონო ბრუნვაში. გამოძიებამ ნარკოტიკებად ჩათვალა წამლები, რომლებიც აღმოაჩნდა ადვოკატს. გამოძიებამ ბატონების ზელცერისა და ფუნტის პირველი საქმე ოფიციალურად დაამთავრა — ბრალდებულებმა და მათმა დაცვამ დაამთავრეს საქმის მასალების გაცნობა. „სისხლის სამართლის საქმე ამ კვირაში გაიგზავნება სასამართლოში“, — აცნობა „კომერსანტს“ ბელორუსიის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ინფორმაციის ცენტრის უფროსმა ვალერი ნადტოჩაევმა. „მიმაჩნია, რომ მათ მოქმედებაში არ არის არც ამბავი, არც დანაშაულება, რის შესახებაც მინდა ვაცნობო რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს გრიგორი ვასილიევიჩს“, — განაცხადა ბრალდებულთა ადვოკატმა დმიტრი გორიაჩკომ.

სხვათა შორის, ბატონ კეისათვის ბელორუსიაში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის შესახებ ინფორმაცია სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა.

ინა გუდავაძესთან და ბორის ბერეზოვსკისთან დაკავშირება ვერ შევძელით. ადრე ბატონი ბერეზოვსკი აცხადებდა, რომ იგი ნამდვილად აძლევდა ჩვენებას ბელორუსიის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლებს ლონდონში ჯოზეფ კეისა და ემანუილ ზელცერის თაღლითობის შესახებ.

**იური სენატოროვი**

Коммерсантъ

## მედვედევი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და საქართველოს საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მკვეთრად განსხვავდება

**რუსეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადადგეს ნაბიჯი კონფრონტაციასთან დაკავშირებით ერთდროულად ორი მიმართულებით: კრემლი დაიმუქრა, რომ მიიღებს საპასუხო ზომებს ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო ფარის შექმნის გეგმების საპასუხოდ და ამავე დროს დაუახლოვდა ღია კონფლიქტს მეზობელ საქართველოსთან. საქართველომ განაცხადა, რომ რუსეთის გამანადგურებლები შეიჭრნენ მის საჰაერო სივრცეში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტის წინა დღით, რომელიც ჩამოვიდა თბილისში, რათა მხარი დაუჭიროს საქართველოს მხარეს მის მზარდ კრიზისში მოსკოვთან სეპარატისტული რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო.**

რუსეთს არ მიუცია დაუყოვნებლივი პასუხი ამ განცხადებაზე, მაგრამ ბრალი დასდო თბილისის პროამერიკულ მთავრობას ბომბების საიდუმლო აფეთქებების გამო ამ რეგიონებში, რაც წარმოადგენს იმის მცდელობას, რომ მოახდინონ ახალი ომის პროვოცირება.



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ თბილისის მოქმედება რეალური საფრთხეა მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის სამხრეთ კავკასიაში და უბიძგებს რეგიონს ახალი შეიარაღებული კონფლიქტის ზღვარისაკენ შეუცნობელი შედეგებით.

პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ მიიღებენ საპასუხო ზომებს კონდოლიზა რაისის მიერ ჩეხეთში რადარების განთავსების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს რაკეტსაწინააღმდეგო ფარის ნაწილს. მან თქვა, რომ რუსეთი ძალიან შეშფოთებულია ამ ნაბიჯით.

მაგრამ მედვედევმა თავისი აზრი გამოთქვა უფრო თავშეკავებულად, ვიდრე მისი წინამორბედი ვლადიმერ პუტინი აკეთებდა. იგი იმუქრებოდა, რომ თავის ბირთვულ რაკეტებს მიმართავდა იმ ევროპული სახელმწიფოებისაკენ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ამ პროექტში. დიდი რვიანის სამიტზე იაპონიაში მედვედევმა თქვა, რომ რუსეთი არ ატეხავს პანიკას ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მოიფიქრებს საპასუხო ნაბიჯებს.

ამერიკის შეერთებული შტატები ირწმუნება, რომ რაკეტსაწინააღმდეგო ფარი, რომელიც ითვალისწინებს გეგმებს პოლონეთში ათი გადამტაცი რაკეტის განთავსების შესახებ, მიმართულია ისეთი ქვეყნების წინააღმდეგ, როგორიც არის ირანი და იგი არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთისათვის. მაგრამ მოსკოვი დაბეჯითებით იმეორებს, რომ ეს პროექტი არღვევს მის უსაფრთხოებას.

ბულგარეთში, სადაც რაისი იმყოფებოდა საქართველოში გამოფრენის წინ, მან მედვედევის რეაქციას უწოდა „სავარაუდო, თუ სამწუხარო არ იქნებოდა“. მან განაცხადა: მე ჯერ კიდევ იმედი მაქვს, რომ რუსეთი დაინახავს რეალურ ვითარებას დაშინების თვალსაზრისით და გაითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ირანელები ამუშავებენ სულ უფრო და უფრო შორი მოქმედების რაკეტებს“. მაშინ რუსეთის მხარე დაინახავს, რომ ეს (ფარიძ მიზნად არ ისახავს მათ წინააღმდეგ მოქმედებას“.

როდესაც რაისი თბილისში ჩამოფრინდა, სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც თვითმფრინავში იმყოფებოდა, აღნიშნა, რომ მოხდება „კატასტროფა“. „მხედველობაში მაქვს ომის ციკლის განახლება, რომელიც საშინელი იქნება ჰუმანიტარული თვალსაზრისით. სტრატეგიული თვალსაზრისით ეს სიკეთეს არავის არ მოუტანს“.

რაისის ვიზიტი მიჩნეულია, როგორც „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის გამოხატულება რუსეთის მხრიდან ზემოქმედების პირობებში“, — აგრეთვე ქვეყნის მხარდაჭერად ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. რუსეთი ენერგიულად იბრძვის, რათა საქართველო არ გახდეს ნატოს წევრი.

როგორც მიაჩნიათ, საქართველოს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა დასავლეთის იმედებისათვის ენერგოშემცველების სტაბილური მარშრუტების შექმნასთან დაკავშირებით ცენტრალური აზიიდან რუსეთის გვერდის ავლით. მოსკოვს მიაჩნია, რომ კავკასია შედის მისი გავლენის სფეროში და უკმაყოფილოა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევით.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილემ ზურაბ ფოჩხუამ განაცხადა, რომ სამშაბათს სამხრეთ ოსეთის თავზე 40 წუთის განმავლობაში დაფრინავდა რუსეთის ოთხი თვითმფრინავი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა თქვა, რომ მოსკოვი ცდილობდა ჩაეშალა რაისის ვიზიტი, რომელიც მიზნად ისახავს კრიზისის საკითხების განხილვას.

„კარგადაა ცნობილი, რომ რუსეთის ფედერაციას აქვს ასეთი პოლიტიკა: მოაწყოს პროვოკაციები, რომლებიც თან ემთხვევა დიპლომატიურ ღონისძიებებს მაღალ დონეზე. ეს შეეხება არა მხოლოდ რაისის დღევანდელ ვიზიტს“, — განაცხადა მან.

დიდი რვიანის რამდენიმე ლიდერმა, მათ შორის პრეზიდენტმა ბუშმა და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა სამიტზე შეშფოთება გამოთქვეს საქართველოს საკითხთან დაკავშირებით.

**ტონი ჰელპინი**

THE TIMES

◉ სიტუაცია

# გაუმარჯოს ტურიზმს!



**ირინა მინჭულინა უკვე ათი წელიწადია საქართველოს მოცურავეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია, მაგრამ, ჰოი საოცრებავ, ერთხელაც არ აღირსეს ოლიმპიური დელეგაციის წევრობა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, მესამედაც თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებენ და ირაკლი რევიშვილ-ანა სალნიკოვას დუეტი პეკინს უდამრიგებლოდ ეწვევა.**

პირდაპირ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ის მიზეზი, რის გამოც თანამედროვე ქართული სპორტის მამები შერისხულს წითელ ბარათს უჩვენებენ: მისი შეგირდები ჩინეთის დედაქალაქის „ცისფერ ბილიკებზე“ საასპარეზოდ „ველური ბარათით“ დაუშვეს და მედლის მოპოვების შანსი არა აქვთო. ვეკითხებით თინეიჯერ ჩინოვნიკებს: დავიჯეროთ, დანარჩენ სახეობათა ყველა წარმომადგენელს გააჩნია საპატიო კვარცხლბეკზე ასვლის ამბიცია და რეალური შესაძლებლობა? ნეტავი ასე იყოს, მაგრამ რაღაც არა გვგონია.

უფრო საფუძვლიანად ის მოსაზრება გამოიყურება, რომ მოცურავე „ჯვაროსანთა“ ხელმძღვანელი, უკვე მერამდენედ, ცისქვეშეთში ტურისტად გამგზავრების მსურველი ვიღაც იქსპიროვნების გამო იჩაგრება, ვისაც ზურგს ასევე უცნობი გავლენიანი „კრიშა“ უმაგრებს.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. ყველაფერს მალე აეხდება ფარდა, როცა საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის სრული შემადგენლობა გამოქვეყნდება.

**გია პლატონიშვილი**

◉ ჭიდაობა

# პეკინამდე გასავლელი გზები

**საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები მონდომებით ემზადებიან პეკინის 2008 წლის ოლიმპიადისთვის.** ამჟამად ორივე გუნდი თბილისშია, მაგრამ რამდენიმე დღეში ჩვენი ფალავნები საწვრთნელ შეკრებებზე გაემგზავრებიან. თავისუფლები (ბესიკ გოჩაშვილი (55 კგ, ოთარ თუშიშვილი (66კ, გელა სალირაშვილი (74კ, რევაზ მინდორაშვილი (84კ, გიორგი გოგშელიძე (96კ, მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე) ბორჯომს მიაშურებენ, „კლასიკოსებს“ (ლაშა გოგიტაძე (55კ, დავით ბედინაძე (60კ, მანუჩარ კვირკველია (74კ, ბადრი ხასაია (84კ, რამაზ ნოზაძე (96კ, მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩიაძ უფრო შორი გზა აქვთ არჩეული – ისინი მინსკში მოთხილამურეთა ბაზაზე მასპინძლებთან, ფრანგებთან, სომხებთან და ბერძნებთან ერთად გაივლიან საწვრთნელ შეკრებას.



ოლიმპიადის დედაქალაქში ჩვენი გუნდები შეჯიბრების დაწყებამდე ათი დღით ადრე ჩავლენ აკლიმატიზაციის გავლის მიზნით. ქართველ ფალავნებს სჯერათ, რომ პეკინიდან ხელდამშვენებულნი დაბრუნდებიან.

◉ ევრო – 2008-ის ექო

# თარსი რიცხვით „ცხვირაწეული“ რუსეთი



**ევროპის 2008 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით ფიფამ ცვლილებები შეიტანა მსოფლიო ქვეყნების ნაკრებთა სარეიტინგო ნუსხაში. ზოგმა გუნდმა წინ გადაინაცვლა, ზოგიც ქვემოთ დაცურდა.**

ყველაზე მეტი ერთეულით – მთელი 13-ით რუსეთის ნაკრები „ახტა“ – 24-ე ადგილიდან მე–11-ზე. როგორც მოსალოდნელი იყო, რეიტინგს სათავეში ჩაუდგა ძველი სამყაროს პირველობაზე ბრწყინვალედ გამარჯვებული ესპანეთი. გასაკვირია, მაგრამ ჩაფლავებულმა იტალიამ ფინალის მონაწილე გერმანიას გაუსწრო. ჩამოქვეითდნენ მსოფლიო ფეხბურთის გრანდები ბრაზილია და არგენტინა.

გთავაზობთ ფიფას ვერსიით რეიტინგის პირველ ათეულს: 1 (4ძ – ესპანეთი; 2 (3ძ – იტალია; 3 (5ძ – გერმანია; 4 (2ძ – ბრაზილია; 5 (10ძ – ჰოლანდია; 6 (1ძ – არგენტინა; 7 (15ძ – ხორვატეთი; 8 (6ძ – ჩეხეთი; 9 (11ძ – პორტუგალია; 10 (7ძ – საფრანგეთი.

...„დაგეძებ და ვერ გპოულობ, მითხარ, სადა ხარ?..“ დიახ, მართალი ბრძანდებით – საქართველოს ნაკრებს ვეკითხებით, უფრო სწორად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას; თუმცა მას ახლა პასუხის გასაცემად არ სცალია, თავად არის ძიებით დაკავებული, უფროს მწვრთნელს დაეძებს, რასაკვირველია, ზეძვირად ღირებულს. საბრალო ჩვენს ნაკრებს კი გასამხელი ნომერი კი არა, „ლოზიოში ქინძიც არა აქვს“...

◉ ოლიმპიადის წინ

# ოქროს მედლების „პრაისკურანტი“

**ცნობილი გახდა რამდენიმე ქვეყნის მიერ გამოცხადებული საპრემიო ჯილდოს რაოდენობა იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც პეკინის წლევანდელ ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალს მოიპოვებს:** ჩინეთში – 1 მილიონი დოლარი; მალაიზიაში – 300 ათასი; ყაზახეთში – 200 ათასი; რუსეთში – 100 ათასი; უკრაინაში – 100 ათასი (ხომ გაგიგიათ, უკრაინა, რუსეთზე ნაკლები, ამერიკამ შეჭამაო...ძ; რუმინეთში – 35 ათასი, აშშ-ში – 25 ათასი.

საბრალო ძია სემი, როგორ გაღარიბებულა! მოულხენელ საქართველოშიც კი იმაზე მეტს არიან შეპირებული – მგონი, 50 ათასს...

◉ ინტერნეტიდან

# კურნიკოვამ ჩოგბურთი გაიხსენა

**რუსი ლამაზმანი ანა კურნიკოვა კვლავ კორტს უბრუნდება. ეს არაორდინარული მოვლენა 16 ივლისს მოხდება. ამ დღეს „სენტ-ლუის ეისიზი“, რომლის ღირსებასაც კურნიკოვა დაიცავს, „ნიუპორტ ბიჩ ბრეიკერზს“ მსოფლიო საკლუბო ჩოგბურთის ლიგის ჩემპიონატში დაუპირისპირდება.**



ბოლო სამი წლის განმავლობაში რუსი ჩოგბურთელი „საკრამენტო კეპიტალზის“ შემადგენლობაში გამოდიოდა. ამ ტიპის შეჯიბრებებზე იგი მეექვსედ მოსინჯავს ძალებს. მოქმედი ჩოგბურთელებიდან წლეულს „სენტ-ლუისის“ შემადგენლობაში ამერიკელი ენდი როდიკი ითამაშებს. ტურნირზე თითოეული გუნდის ღირსებას ორ-ორი ქალ-ვაჟი დაიცავს. ყოველ მატჩში 5 სეტი გაიმართება. ლიგის პირველობის 11 მონაწილე ორ კონფერენციად გაიყო. გამარჯვებულები მთავარ პრიზს გაითამაშებენ.

◉ წამი



## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: მყავს მეუღლე და 3 არასრულწლოვანი შვილი. ეკონომიურად ძალიან გვიჭირს, მაგრამ სიღატაკის დაძლევის პროგრამით გათვალისწინებული სარეიტინგო ქულა ვერ შევაგროვე, რის გამოც უმწეოთა დახმარებაზე უარი გვითხრეს. შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით სხვა რაიმე დახმარება არ ეკუთვნის ჩემს ოჯახს?**

**გალინა ლომთათიძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, კანონის თანახმად, თქვენი ოჯახისთვის რაიმე სახის დახმარების დანიშვნისათვის, სამწუხაროდ, არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ვადაა დაწესებული დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთის სამუშაო ადგილზე წარსადგენად?**

**ზვიად ქორიძე**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება



არ გაიცემა დამსაქმებლისათვის (დაწესებულებისთვის) დროებითი შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთის (სამედიცინო ფურცლის) მისი დახურვიდან 3 თვის შემდეგ წარდგენის შემთხვევაში.

* * *

**კითხვა: ვარ 78 წლის, მაქვს 50 წლის სტაჟი. ვიღებ პენსიას თვეში 80 ლარის ოდენობით. ამბობენ, მომავალი წლის 1 იანვრიდან პენსიები გაიზრდებაო. თუ გაქვთ ინფორმაცია, რას გაითვალისწინებს ჩემი კატეგორიის პენსიონერთა მიმართ კანონი — რამდენით გაიზრდება პენსიის ოდენობა?**

**მარიამ ჩხარტიშვილი**

**პასუხი:** 2009 წლის პირველი იანვრიდან პენსიის გაზრდის შესახებ, სამწუხაროდ არავითარი ოფიციალური განცხადება ჯერჯერობით არ ყოფილა.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, შეიძლება თუ არა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყოს საგანმანათლებლო დაწესებულება?**

**გურამ ჟამუტაშვილი**

**პასუხი:** დიახ, შეიძლება. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება ახორციელებდეს საგანმანათლებლო საქმიანობას.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-65-87; 899 32-85-76.**
*კოსტავას 12*

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს სს „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის“ ს/ნ 219982259 (მდებარე: ზუგდიდის რ-ნი, სოფ. ინგირი) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის“ შემდეგი დასახელების ქონება:

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | სულ ჯამი | | | 463078,8 |

ქონების საერთო ღირებულება: 463078.8 ოთხასსამოცდასამიათას სამოცდათვრამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: ზუგდიდის რ-ნი, სოფ. ინგირი

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 25 ივლისს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №87, მე-4 სართულზე ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ზუგდიდის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000). მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(293)2-07-04; 8(293)2-07-06.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: გთხოვთ, გვაცნობოთ, იწვევს თუ არა შრომითი ურთიერთობის შეჩერებას დავის განხილვა?**

**როინ გელაშვილი**

**პასუხი:** საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობების შეჩერებას.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რომელი დღე ითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ?**

**ლილი ყუფარაძე**

**პასუხი:** სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება სამკვიდროს დამტოვებელი პირის (მამკვიდრებლის) გარდაცვალების დღე ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

* * *

**კითხვა: ჩემი ძმა სასამართლოს მიერ ცნობილი იყო ულირს მემკვიდრედ, ვინაიდან წლების განმავლობაში ლოთობდა და ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხ-**



**ყოფას აყენებდა მამას. მე იძულებული გავხდი, სამუშაოდ საზღვარგარეთ წავსულიყავი და იქიდან გამეწია მატერიალური დახმარება შრომისუუნარო მშობლისათვის. დედა ადრე გარდამეცვალა. სხვა და-ძმა არ მყავს. 6 თვის წინათ მამა გარდამეცვალა. მამის დაკრძალვის ხარჯები მთლიანად მე გავწიე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძმა სასამართლოს მიერ ულირს მემკვიდრედ არის ცნობილი, სამკვიდროს მთლიანად თვითონ დაეპატრონა და ჩემთვის ქონების გაყოფასაც არ ფიქრობს. სწორია მისი ასეთი ქმედება?**

**ლედი ბექაური**

**პასუხი:** ასეთი მოქმედება სწორი არ არის. მოქმედი კანონის თანახმად, თუ პირი სასამართლოს მიერ ულირს მემკვიდრედ იყო ცნობილი, გარემოება, რომელიც მისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველს წარმოადგენს, დადგენილი უნდა იქნეს სასამართლოს მიერ იმ პირის სარჩელით, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ულირსი მემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს (საფუძველი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1312-ე მუხლი). თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე, გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ სასამართლოს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

საქმე №2/1158-08 წ.

# განჩინება

## საქართველოს სახელით

## საჯარო შეტყობინების შესახებ

7 ივლისი, 2008 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე — თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი
განხილვის ფორმა — ზეპირი მოსმენის გარეშე.

**მოსარჩელე** — დავით ძოწენიძე

**მოპასუხეები** — 1. მაკა ასათიანი; 2. სალომე ასათიანი; 3. ლუიზა თავართქილაძე

**დავის საგანი** — სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანა

**განიხილა საჯარო შეტყობინების მეშვეობით მოპასუხეებისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარების საკითხი.**

## გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში სამოქალაქო საქმე №2/1158-08 წ. დავით ძოწენიძის სარჩელისა გამო მოპასუხეების მაკა ასათიანის, სალომე ასათიანის და ლუიზა თავართქილაძის მიმართ სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მოპასუხე მაკა ასათიანს, სალომე ასათიანს და ლუიზა თავარქთილაძეს ვერ ბარდებათ სარჩელში მითითებულ მისამართზე (თბილისი, ტაბიძის №35ძ გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები, ბრუნდება წარწერით, რომ „აღნიშნულ მისამართზე ბინა დაკეტილია, მეზობლების განმარტებით, ქალაქში არ არიან“. აღნიშნულის გათვალისწინებით 2008 წლის 4 ივლისს მოსარჩელე დავით ძოწენიძის წარმომადგენელმა ვასილ სანიკიძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.3-ე და 79-ე მუხლების შესაბამისად მოითხოვა სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს განჩინება სარჩელისა და თანდართული მასალების საჯარო შეტყობინების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ამავე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით და სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეების – მაკა ასათიანის, სალომე ასათიანის და ლუიზა თავართქილაძის ადგილსამყოფელი უცნობია, მათ სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. მოპასუხეებს – მაკა ასათიანს, სალომე ასათიანს და ლუიზა თავართქილაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/1158-08 წ. დავით ძოწენიძის სარჩელის გამო მოპასუხეების მაკა ასათიანის, სალომე ასათიანის და ლუიზა თავართქილაძის მიმართ სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სარჩელის მოთხოვნებია: სამეწარმეო რეესტრში ცვლილების განხორციელება.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებია: მოსარჩელე დავით ძოწენიძე არის შპს „აკას“ დამფუძნებელი პარტნიორი მისი შექმნის დღიდან და მუშაობს ამ ფირმის გენერალურ დირექტორად. საწარმო შექმნილია 1992 წელს და დარეგისტრირებულია 1992 წლის 28 მაისს ქ. თბილისის მერიის №804 განკარგულებით. საწარმოს ხელახალი დარეგისტრირება მოხდა 1995 წლის 27 დეკემბრის დამფუძნებელ პარტნიორთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ოქმი №6. მოსარჩელე მიუთითებს, რომ საწარმოს დაფუძნებისა და მისი ხელახალი დარეგისტრირების დღიდან არის საწარმოს საწესდებო კაპიტალის 20-პროცენტიანი წილის მფლობელი. არავის არასოდეს არ მოუწოდებია მისთვის არც წერილობითი და არც ზეპირი ინფორმაცია საზოგადოებიდან მისი გასვლის, ან წილის დათმობის, მით უმეტეს გარიცხვის შესახებ. 1996 წლის გაზაფხულამდე მოსარჩელე იყო საწარმოს დირექტორი. 1996 წლის გაზაფხულზე საწარმოს მთავარმა პარტნიორმა და პრეზიდენტმა გამოთქვა პრეტენზიები მის დირექტორობასთან დაკავშირებით და წარუდგინა 1996 წლის 15 მარტით დათარიღებული საზოგადოების დამფუძნებელთა საერთო კრების ოქმი, 1996 წლის 1 აპრილიდან მისი განთავისუფლების შესახებ.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ მართალია ის იყო 20 პროცენტი წილის მფლობელი, მაგრამ არც ერთხელ არ მიუწვევიათ პარტნიორთა კრებაზე. ზეპირი მოთხოვნებით რომ არაფერი გამოვიდა მოსარჩელემ დაზღვეული წერილით მიმართა დირექტორს და მოითხოვა კრების მოწვევა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. განმეორებით მიმართა 2008 წელს, რომლის საფუძველზეც 2008 წლის 25 თებერვალს დირექტორისაგან მიიღო პასუხი, რომ იგი აღარ იყო შპს „აკას“ პარტნიორი. აღნიშნული ფაქტი ასევე დასტურდება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე მოითხოვს ცვლილება შევიდეს შპს „აკას“ სამეწარმეო რეესტრში, კერძოდ აღდგეს ჩანაწერი პარტნიორებში – დავით ძოწენიძე დამფუძნებელი პარტნიორი; წილი შეადგენს 20 პროცენტს, რაც თანხაში არის 127000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში და შესაბამისად ცვლილება განხორციელდეს სამეწარმეო რეესტრში სხვა პარტნიორების წილების ნაწილში სოლიდარულად, რათა ყველა პარტნიორის წილების ჯამმა შეადგინოს 100 პროცენტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, მოპაუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოთ ისინი სასამართლოს მიღებიდან 10 დღის ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი:

მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს) მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება) ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი: პასუხში შესაძლებელია მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები;

ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;

თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ;

მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;

არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები;

ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ;

ვინ შეიძლება ჩაება პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე;

სხვა სახის შუამდგომლობები;

პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე.

მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.

მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1] მუხლის შესაბამისად მოპაუსხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2. განემარტოს მხარეს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

3. სასამართლო შეტყობინების გამოქვეყნების ხარჯების გადახდა დაევალოს მოსარჩელე მხარეს.

4. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე: თ. სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**

**ასლი დედანთან სწორია**

საქმე №2/2832-06

# განჩინება

## საქართველოს სახელით

**კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ**

**ქ. თბილისი 9 ივლისი 2008 წ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად განიხილა შპს „ავჭალის“ გაკოტრების მმართველის ნიკოლოზ ბაკაშვილის განცხადება კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ავჭალის“ გაკოტრების მმართველის ნიკოლოზ ბაკაშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მოწვეულ იქნეს შპს „ავჭალის“ კრედიტორთა კრება 2008 წლის 16 ივლისს 14 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, სხდომის დარბაზი №22 (მისამართი დ. აღმაშენებლის მე-12 კილომეტრი №6ძ, შემდეგი დღის წესრიგით – გაკოტრების მმართველის მიერ საბოლოო ანგარიშის წარდგენა.

2. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე გამოქვეყნდეს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული წესით.

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე: ი. ადეიშვილი**

**ასლი დედანთან სწორია**

კონცერტი



**ცოტა ხნის წინ დედაქალაქის „მუსიკალური ცენტრის“ დარბაზში გაიმართა აფხაზეთიდან ლტოლვილი ოჯახების ბავშვების – ამჟამად თბილისის მერიის ხელოვნების სკოლის – „აფხაზეთი №1“-ის მოსწავლეთა კონცერტი.**

... გონებაში უნებურად წარმომიდგა თითქოსდა არცთუ ძალიან შორეული წარსულის, კერძოდ, 60-80-იანი წლების დაუვიწყარი მოგონებები, რომლებიც უკავშირდება სოხუმში ჩატარებულ სხვადასხვა მუსიკალურ და საზოგადოებრივ ღონისძიებებს და რომელთა მონაწილეც უშუალოდ გახლდით...

ვაგლახ, „წარილტვნენ, გაჰქრნენ სიზმარებრ ჩქარა“.

რაღა დაგვრჩა ამ ნანატრი წარსულიდან?

საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ თბილისში და ერთხანს ქუთაისში ფუნქციონირებას იწყებენ ქ.სოხუმის №1 და №2 სამუსიკო სკოლები. 2006 წელს ამ ორი სკოლის ბაზაზე თბილისში ფუძნდება „აფხაზეთის №1 სამუსიკო სკოლა“, რომელიც ახლა ასეთი სახელწოდებით განაგრძობს არსეზობას: ქ. თბილისის მერიის ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“ (დიდი მადლობა მისი მეურვეობისათვის ბატონ გიგი უგულავას და მერიის კულტურის სამსახურის უფროსს ბატონ მამუკა ქაცარავასძ.

სკოლის დირექტორია ენერგიული ქალბატონი, მუსიკისმცოდნე თამარ ახალაია. ხსენებულ სკოლაში ფუნქციონირებს მუსიკალურ-საშემსრულებლო (საფორტეპიანო, სიმებიან საკრავთა, ბლოკ-ფლეიტის, ფლეიტისა და საყვირის სპეციალობებიძ, საგუნდო-სადირიჟორო, კლასიკური ვოკალის, ხალხური შემოქმედების, საესტრადო განყოფილებები. გარდა ამისა, გაიხსნა ქორეოგრაფიული (ხალხური, თანამედროვე, სამეჯლისო ცეკვებიძ და დიზაინის (ტანსაცმლის, ინტერიერის, ავეჯის სპეციალობებიძ განყოფილებები.

# გამარჯობა, აფხაზეთო შენი!

## ანუ მუსიკალური ნობათი აფხაზეთიდან ლტოლვილი ოჯახების ბავშვებისგან

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგებით. სისტემატურად ტარდება ღია და დახურული კონცერტები, შობისა და აღდგომის დღესასწაულებთან დაკავშირებული საღამოები. შარშან ჩატარდა დ.შოსტაკოვიჩისადმი მიძღვნილი კონცერტიც.



რაც შეეხება საანგარიშო კონცერტს, იგი უდავოდ ყველაზე სოლიდური და მასშტაბური იყო, რაზეც მეტყველებს მონაწილეთა და შესრულებულ ნაწარმოებთა რაოდენობა და, რაც მთავარია, მისი საკმაოდ მაღალი პროფესიული დონე, რასაც დიდად შეუწყო ხელი გამოცდილი დირიჟორის – რევაზ ტაკიძის ოსტატობამ და პედაგოგიურმა ალღომ (უკრავდა კამერული შემადგენლობის ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო ორკესტრის მუსიკოსებისაგან შემდგარიძ.

პატივი მივაგოთ კონცერტის მონაწილეებსა და მათ პედაგოგებს. ჩამოვთვალოთ ისინი, მათ ეს დაიმსახურეს. ნორჩი პიანისტები: თამარ ტარსაიძე – I კლ. (პედაგოგი – ლ. სიდამონიძეძ, დეა ხორგუანი – II კლ. (ე.კვინტრაძეძ, მარიამ ჭიპაშვილი – III კლ. (ე. კვინტრაძეძ, თამარ ლომსაძე – IV კლ. (დ. ხაზეიშვილიძ, ქეთევან ლომსაძე – VI კლ. (დ. ხაზეიშვილიძ, საქართველოს პროფკავშირების ფესტივალის „იპოვე შენი ვარსკვლავი“ ლაურეატი ანა ტერ-სარქისიანი – VII კლ. (ნ. გვერდწითელიძ, საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებასთან არსებული ვოკალური ანსამბლი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სკოლის პედაგოგებმაც: ლ.ბიკოვამ, ლ.წაქაძემ, აფხაზეთის დამსახურებულმა არტისტმა ვ. ჩუბინიძემ, მ. დავითულიანმა, ქ. ჭარხალაშვილმა.

კონცერტის დასასრულ სკოლის გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულა სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებები და აჭარული ხალხური სიმღერების პოპური.

ყოველივე იყო ძალიან კარგი და სიხარულის მომგვრელი.

ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩატარებული კონცერტის მნიშვნელობა სცილდება ოდენ მუსიკალურ აკადემიურ ფარგლებს. ერთის მხრივ, მან, ცხადია, აგვიშალა ძველი დარდები, მაგრამ, მეორეს მხრივ, კიდევ ერთხელ ჩაგვისახა იმისი იმედები, რომ უდანაშაულო ლტოლვილები დაუბრუნდებიან თავიანთ სახლ-კარს და ქართველი და აფხაზი ხალხები კვლავ, როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე, იცხოვრებენ ძმურად ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შემადგენლობაში.

**გულბათ ტორაძე**

ინფორმაცია

# სახალხო მხატვრის იუბილე ეროვნულ არქივში

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში გაიმართა საქართველოს სახალხო მხატვრის ზურაბ ლეჟავას შემოქმედებითი საღამო, რომელიც მისი დაბადების 83-ე წელს მიეძღვნა.**

ღონისძიება ეროვნული არქივის, სს „ქართული ფილმისა“ და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ინიციატივით ჩატარდა.

ზურაბ ლეჟავა წლების განმავლობაში საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე იყო. იგი ასევე აქტიურად მოღვაწეობდა კინოში. გადაღებულია ისეთ ცნობილ მხატვრულ ფილმებში, როგორიცაა: „არსენა“, „გიორგი საკაძე“, „ქეთო და კოტე“, „მწვერვალთა დამპყრობნი“, „მალახოვის ყორღანი“, „წიგნი ფიცისა“.

შემოქმედებით საღამოზე ნაჩვენები იყო კადრები კინოფილმებიდან ზურაბ ლეჟავას მონაწილეობით. როგორც არქივის დირექტორმა თეონა იაშვილმა აღნიშნა, აღნიშნული კადრები არქივში დაცული მასალების მიხედვით წარმოადგინეს.

არქივის დარბაზში გამოფენილი იყო აგრეთვე ზურაბ ლეჟავას მხატვრული ნამუშევრების საუკეთესო ნიმუშები, მათ შორის, „სამანიშვილის დედინაცვლის“ ესკიზები.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ნეტავი ჩემი იყოს

# კომფორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!



საბოფლო უნივერსიტეტის სიახლოვეს – პრესტიჟულ ძოშიგორაზე – იყიდება მრავალი სახეობის ხეხილით, ვერცხლისფერი ნაძვებით, ტალავრებით გაწაშენიანებული ელიტური აგარაკი (1700 კვ.მ.ძ, 250 კვ.მ უცხოვრებელი ფართობის მქონე 2 სახლით (5 საძინებელი ოთახი, 3 სასადილო, 3 სამზარეულო, 3 ბუხარი, 4 სველი წერტილი, 2 აბაზანა, 6 აივანი (ყველაფერი ჟალუზებშიძ, საუნა, საწყობები, ავტოფარეხი, მუდმივი ელდენი, ნატახტრის წყალი, გამაცხელებლებიძ, სარწყავი სისტემა, კანალიზაცია. სახლამდე მისასვლელი გზა ახალი მოასფალტებულია.

ფასი – შეთანხმებით. ტელ: 899 93-01-04; 23-37-37, რეზო. 36-50-33, მაია.

ხსოვნა

# კაი ყმა



**... უკვე ორმოცი დღე-ღამე გასულა, რაც ვერაგმა სენმა შენი თავი წარგვტაცა სამზეოდან... ამ ხნის მანძილზე ლოცვა-ვედრება, სანთელ-საკმეველი და ცრემლი არ დაგკლებია, რათა შენი სული მარადიულ სასუფეველში დაავანოს უფალმა... სულის უკვდავება გვანუგეშებს, რომ სულიერი სიცოცხლე გარდაცვალების შემდგომაც გრძელდება, აკი შენც წერდი ლექსად:**

**„... თუ ძილი არის სიზმრიანი მიკროსიკვდილი, მაშინ სიკვდილი სიზმრიანი სერიალია... რა არის მერე – სიკვდილის შემდგომ? ისევ სიცოცხლე – ცხადლივ სიზმარი?!**

**შენს სულიერ და გონებრივ ღირსებებსა თუ ნაღდ ქართველურ ახოვანებაზე ამჯერად არას ვიტყვით, ერთს აღვნიშნავთ მხოლოდ – ჩვენს დროში მართლაც იშვიათია კაცი, ვინც მამულს შენებრ აღმერთებდა...**

**„... სამშობლო! – ვამბობ, პასუხის ნაცვლად ვუმზერ სახეებს ქცეულს ქანდაკად...“**

**კაი ყმის – გიორგი სიხარულიძის საააქაო გზა დასრულდა, სამარადისო კი – იწყება...**

**ოჯახი, საახლობლო-სანათესაო, მეგობრები, კოლეგები.**



**სააქციო საზოგადოება „ინჟმშენის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საზოგადოების თვალსაჩინო სპეციალისტისა და კარგი პიროვნების, საწარმოო კომბინატის მთავარი ინჟინრის**

**თამაზ ჭაბაშვილის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

№23093

# განჩინება

## კრედიტორთა კრების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სახელით

4 ივლისი 2008 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვანო წიკლაური**

**დაადგინა:**

1. მოვალის სს „ელექროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ გადახდისუუნარობის შესახებ საქმეზე კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნას 2008 წლის 18 ივლისს 10 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შენობაში (მდებარე: დ. ალმაშენებლის მე-12 კმ №6, დარბაზი №23ძ.

რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.

შენ მოგმართავთ, ჩვენო მკითხველო!..

# ვინ არის, თქვენი აზრით, 100 ყველაზე ღირსებიანი და 100 ყველაზე უღირსებო ქართველი



## მოდით ერთად შევადგინოთ ეს ნუსხა
## თქვენ ვის ნახვას ისურვებდით ამ ნუსხაში?

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცალკე წიგნებად არის გამოცემული — „მსოფლიოს 100 ყველაზე საუკეთესო მწერალი“, „100 ყველაზე საუკეთესო მხატვარი“; „100 ყველაზე საუკეთესო მუსიკოსი“; „100 ყველაზე საუკეთესო მეცნიერი“; „100 ყველაზე გამორჩეული სახალხო გმირი“; „100 ყველაზე საუკეთესო სპორტსმენი“... დიდად სამწუხაროდ, ვერც ერთ სიაში ვერ ნახავთ ქართველი მწერლის, მხატვრის, მუსიკოსის, ისტორიკოსის, მეცნიერის, გმირის, სპორტსმენის, საერთოდ, რომელიმე მართლაც ღირსებიანი თუ უღირსებო ქართველის სახელგვარს. არადა, აბა, ბოლომდე გადავაწვდინოთ ჩვენი მიუკერძოებელი თვალთახედვის ისარი ჩვენი ქართული სახელმწიფოებრობის თითქმის სამიათასწლიან წარსულს, აბა, წამიერად თვალწინ დავიყენოთ ის უტყუარი ღირსებიანი ქართველები, ვინც იმისთვის იყო მოსული ამქვეყნად, რომ თავისი სამშობლო ეშვენებინა, და ნურც იმ უღირსებო ქართველთ მოვარიდებთ თვალს, ვინც ხელს უშლიდა ღირსებიან ქართველთ სამშობლოს გაბრწყინებაში.

მართალია, ყოველი არჩევანი თითოეული ჩვენგანის კერძო შეხედულების გამომხატველი აზრი იქნება, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოიკვეთება ერთი მთლიანი უთუოდ შთამბეჭდავი ჯგუფური სურათი, რომელსაც ყველანი ერთად შემოვავლებთ დროისეულ მოუშლელ ჩარჩოს.

აქვე უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ ერთ ცალკე ადამიანს, რასაკვირველია, გაუჭირდება ასივე ღირსებიანისა თუ უღირსებოს შერჩევა, — ეს ნუსხა ყველამ ერთად უნდა შევადგინოთ, — მაგრამ აქ მთავარია, თითოეულმა ათი და ოცი თუ არა, თუნდაც თითო სწორი არჩევანი მაინც მოახდინოს.

ძვირფასო მკითხველო! იმედია, დაუყოვნებლივ ჩაერთვები ჩვენს გამოკითხვაში, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავერკვეთ, ვინ რამდენს „იწონიდა“ ჩვენს არცთუ „მზე-მთვარიან“ ისტორიაში.

წამზომი ჩართულია. სასწორის ერთ-ერთ პინაზე საწონედ ღირსება დევს... მეორე პინა თქვენს პირუთვნელ არჩევანს ელოდება. ცხადია, აქ უღირსებონი ვერ მოხვდებიან.

ჩვენი მისამართია:
მერაბ კოსტავას ქ. №12.
იმეილია
SAKRESP@AYETY.GE
ტელეფონია 98-65-87.
ფაქსია 98-65-87.

**დაგვიკავშირდით: ტელეფონით, იმეილით, შემოგვიარეთ რედაქციაში**

### ხუმარსიტყვა-გამოცანა

## ფონდ-ფანდი

პოლიტიკაში გამოიარა ბონდი.
იპრეზიდენტა ყელზე
სპიკერის ბანტით.
ნეტავი „დემოგანვითარების
ფონდი“
მართლა ფონდია თუ მორიგი
რამ ფანდი?...

თამაზ ილმელი

### ბინა — იაფად!

5-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ. ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92. ფასი შეთანხმებით.

### ინფორმაცია

## გამოცდა ფრიადზე ჩააბარა

ქუთაისის №9 საგამოცდო ცენტრში, რომელიც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტშია განთავსებული, აბიტურიენტს სამშობიარო ტკივილები დაეწყო.

ფეხმძიმე გოგონა, გვარად ნამგალაძე გუშინ, დილის სესიაზე გამოცდას გერმანულ ენაში აბარებდა.

საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციამ აბიტურიენტს სამედიცინო დახმარება დაუყოვნებლივ აღმოუჩინა. მოგვიანებით იგი სამშობიარო სახლში გადაიყვანეს, სადაც გოგონა დაიბადა.

დედისა და ჩვილის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ჩვენი გაზეთის რედაქცია ულოცავს ნამგალაძეებს ქალიშვილის შეძენას. მათმა ქალიშვილმა ცხოვრებისეული გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. იმედია აბიტურიენტ დედა-შვილს სტუდენტობასაც მივულოცავთ.

ინტერპრესნიუსი

### ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

### ქირავდება ან იყიდება

კომერციული ფართი — 100 კვ. მ. ნავთლუღის ბაზრის პირდაპირ. ამჟამად ფუნქციონირებს სრულყოფილი აფთიაქი. დაგვირეკეთ: 70.70.95 (დღისით, 20 სთ-მდეძ, 91-24-91 (საღამოსძ, — 899-37.00.35; იკითხეთ მანანა.

### კადრი



**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
**98-65-87; 899 32-85-76.**

### ანეკდოტები

— ძვირფასო, დღეს ჩემი მეგობარი დავპატიჟე ჩვენთან სავახშმოდ, — ეუბნება ქმარი ცოლს.

— დაპატიჟე?! უყურეთ ერთი ამ გიჟს! ბავშვს ცინგლი ჩამოსდის, მე სარეცხში ვიხრჩვები, ბინა დაბინძურებულდაულაგებელია, სახლში საჭმელი არაფერია, ამას კი მეგობარი დაუპატიჟნია!

— დიახაც! იგი ჩემი საუკეთესო მეგობარია და მისი გადარჩენა მინდა.

— რისგან?

— რისგან და, ამ ბოლო ხანს სულ ცოლის მოყვანაზე ფიქრობს...



* * *

უკვე მეხუთე დღეა, „პახმელიიდან“ ვერ გამოვსულვარ. როდის გათავდება ეს წყეული ხელფასი!

* * *

— რა ვუყიდო ცოლს დაბადების დღეზე, ვერ გადამიწყვეტია!

— რა უყვარს ყველაზე მეტად?

— უყვარს სიჩქარე, ოცნებობს ფრენაზე...

— მაშინ ცოცხი უყიდე!

* * *

თუ ჩვენი ტელეარხების საინფორმაციო პროგრამებს ტყუილის დეტექტორს მივუერთებთ, ტელევიზორი შვიდ წამში აფეთქდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.